732 გვ.; 22,5×18,5; ქაღალდი; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა, ყუაზე ყავისფერი ტყავი წარწერით „LEXICON“; მხედრული, დასაწყისები სინგურით, ყოველი ახალი ასო იწყება მოხატული ასოთი; 1758 წ. 19 ივნისი (გვ. 731), კვირინშანი აქვს; გადაშვრი: მეღვი-სედევ კავკასიძე (გვ. 731); გადაწერილია პეტერბურგში; დაუწერელია გვ. 2.

[ს.-ს. ორბელიანი]. „სიტყვის კონა. ქართული, რომელ-არს ლექსიკონი. — ანი არს პირველი ასო და კმონი და ართრონი მრავალ რიგად. თავად და ბოლოდ მოვალს მრავალთა სიტყუათა ზედა, ვითარცა თავსა დაგუწერია. კუალად ანი არს რიცხვი ერთი. კუალად ანი ითქმის მგზეფსში კვირად...“ გვ. 9—721.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი მისდევს A რედაქციის ზოსიმესეულ გავრცობილ შესხას (შდრ. „სიტყვის კონა“, 1949 წ. გამოცემა).

2. უძღვის: ა. „ნულა და ქართული რიცხვი (გვ. 1). ბ. „საქევენი ხეთთა კმონთჲ ასოთანი და სწავლა სხუათა ასოთა და თავ-ბოლოთანი...“ (გვ. 3—4).

გ. „ან დერძანამაგი ძის მუშაქისა ფრიად დამაშვრალისა მოსწავლეთათჲს, გარნა მრავალნი მოსწავლენი მგმობარ და მოციტხარ ექმნებიან შრომისათჲს და არა სარეწავლად მისცემენ ლოცვასა“ (გვ. 5—7).

დ. „ეს ოთხნი ნიშანი ქვეყანის მზომელობისანი არიან ჯელოვნებანი“ (გვ. 7).
ე. „ესე ნიშანი სადაცა სხენან, მიგასწავლის ცხოელი არის თუ მცენარე გონება...“ (გვ. 8).

3. ერთვის: ა. „იესო ქრისტეს, ღმრთისა ჩვენისა, სამეოცდაათორმეტი მოწაფეთ სახელები, და ვინ იყუნენ და სადათ ფისკოპოზი იქმნენ“ (გვ. 723—725).

ბ. „მოველენი, რომელნი არიან ქართულნი და რომელთამე არლარა უწოდენ, და დაეწყებეს და სხუა თურქთა ენათგან მოუღიეს მისდა ნაცულად“ (გვ. 726—728).

გ. „გეომეტრია ქვეყნის მზომელი“ (გვ. 729).

დ. „თქმული ქართველთ მეფისა, მესამე ვახტანგ, ლეონის ძისა“ (გვ. 730).

ე. „თქმული სახლთხუცის დიმიტრი ორბელიანისა“ (გვ. 730).

ვ. „თქმული თუთსაბასი“ (გვ. 731).

ზ. მინაწერები: „დასაბამითგან ქრისტეს მოსულამდე...“ (გვ. 732); „ბერძენ-ნი იტყუიან...“ (გვ. 732); „ქრისტეს აქათ 533 წლის შრდ...“ (გვ. 732).

4. ლექსიკონს აქვს რუსულ-თურქულ-სომხური შესატყვისები.

5. შიგადაშვი მიწერილი აქვს წყაროები.

ანდერძები: 1. „ამა წიგნისა მომღვაწებელსა, სულხან-საბა ორბელიანსა...“ (გვ. 722); (იხ. ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით. ტფილისი. 1928 წ. გვ. 477—478).

2. „სრულ იქმნა სიტყუისკონა, ესე წიგნი, რომელ-არს ლექსიკონი, წესს აქათ 1758 ივნის 19, დიდსა ქალაქსა სანკთ-პეტრე ბრუხს ხელთა მდივნის კნაზ მელქისედეკ კავკასიოჭისათა, თუთ საბას უკანასკნელს დანარჩომს ლექსიკონზედ დიდის სიფთხილით გარდაწერილი, და ამის გამო შენდობის წყალობას ვმოქენებ თქვენ მიერ, უფალნო ჩემო. დიდება ღმრთისა სრულმყოფელსა, ამინ“ (გვ. 731).

მინაწერი: 1. „მონა ვარ ღმრთისა, ძე ადამისა არხიერი ევლოგიოს. Смирный Епископ Евлогий“ (გვ. 722). იხ. აგრეთვე გვ. 732.

(1162)

2734

ანტონ I, ქართული გრამატიკა. XVIII

1+120 ფ.; 31,5×20,5; მწვანე ფერის ქაღალდი; ტვიფრული ტყავდაკრული ბუკავოს ყდა; დაშლილი; მხედრული, ორ სვეტად, სათაურები და დასაწყისები სინგურით; [XVIII ს.]; დაუწერელია: 1r—v; 3v; 46v; 86r—v; 119v—120r; 60r—v შეწებებულია.

⟨ანტონ I, ქართული გრამატიკა⟩. „თუც კელოვნებისა ღრამმატიკოსობითისა, ნაწილი პირუელი. რომელსა შინა მარტივად მდებარე არიან თითოეულნი ნაწილნი სიტყუათანი მაგალითებითურთ, რომელნიცა ზეპირებად სათანადო არიან ღრამმატიკასა მოწაფე ქმნილთა. თავი ა. ბრუნვათაუც სახელთასა. § 1. — რიცხუსა შინა ჩუჭნ განჰსჯითა შემოყუანილნი ბრუნუნა სახელთანი არიან რუა...“ 4r—119r.

შენიშვნები: 1 ტექსტს უძღვის: ა. „შეყუანილება წიგნისა ღრამმატიკასა, მიწერილი მოძღუართად და მოწაფედად ღრამმატიკასათა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოისა საქართველოდსა. — სამთა მიერ განშუქებულისა სიბრძნისა...“ (1r—v); ბ. „პინაქსი ღრამმატიკისა...“ (2r—3r).

2: ერთვის: „დასასრული მესამისა, ღრამმატიკის ნაწილისა...“ (119r).

3: ანტონის ქართული გრამატიკა გამოცემულია. იხ. „ქართული ღრამმატიკა შედგენილი ანტონ I-ის მიერ. გამოცემული ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით, თბილისი, ექვთიმე ხელაძის სტამბა, 1885 წ.“

ანდერძი: (სინგურით): „იწყო წერათ თუბებვალს კ და აღესრულა მარტს იბ“. (119r).

მინაწერი: „ზაქარია კიკიძისა წიგნია“ (57r).

იხ. აგრეთვე მინაწერი 119v.

(1163)

2744

იოანე დამასკელი. გარდამოცემა. 1803

46 ფ.; 16,5×11; მამწვანო ქაღალდი; უყდო; მხედრული, სათაურები და სახედაო ასოები სინგურით; 1803 წ. (46v); გადამწერი — რაფიელ იოანეს ძე მისიუროვი (46v); გადამწერის ზღვილი თბილისი (46v).

ღირსისა მამისა ჩვენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა, გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა, ვითარმედ მიუწოთმელ არს ღმერთი და ვითარმედ არა ჯერ-არს ძიება და გამოწულილება არა მოცემულთა ჩვენდა წმიდათა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა და მახარებელთ; მიერ. გვაკოროთხენ მამაო. თავი პირველი. —

11. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV

ღმერთი არავინ იხილა ოდესცა, მხოლოდ შობილმან ქემან, რომელი იყო წიაღთა მამისათა...“ 5r—46v.

შენიშვნები: 1) ტექსტს წინ უძღვის ზანდუკი (ფ. ფ. 1—5): „შეწვენითა ლთისათა, ზანდუკი იოანე დამასკელი სა მითუწლომელობისათვის ლთისა და ვითარმედ არა ჯერ-არს ძიება და გამოწულიება არა მოცემულისა ჩვენდა წმიდათა წინასწარმეტყუშლთა, მოციქულთა და მახარებელთა მიერ“.

2) თხზულება თარგმნილია არსენ იყალთოელის მიერ (მდრ. S—1463, 54r—102v და „მომომხილველი“, ტ. I, 1926 წ., გვ. 178).

ანდერძი: „1803 წელსა, დაიწერა ხელითა რაფიელ იოანეს ძის მღერისთროვისათა ქალაქსა ტფილისს“ (46v).

(1164)

2745

გამოკრებილი ფსალმუნი. 1815

26 ფ.; 21,5×16; მოწვანო ქაღალდი; უყდო: მხედრული, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; 1815 წ.; კვირნიშანი 1814 წ.; გადამწერი ბაგრატ ბატონიშვილი (25v); დაუწერელია 26r—v.

„გამოკრებულ ი ფსალმუნი. თთუშსა სეკდებერსა შ. შობასა ყოვლად წმიდისასა. იწყებენ პირველი მკარის მგალობელნი გალობით: — გაიღებთ შენ. ყოვლად წმიდაო ქალწულო...“ 1r—25r.

შენიშვნა: 23r-ზე ტექსტის ხელით სიტყვასთან „თანამკვდრო(!) ანგელოსთაო“ არის კომენტარი: „რუსნი ასე იტყვან: და მობაძაო ანგელოსთაო, ხოლო ესეც არის — და თანამოდასეო ანგელოსთაო“.

ანდერძი (გადამწერისა): „უგანათლებულესო ძმა[ო] მეფის ძეო იოვანე, თქვენგან ნაბრძანები ესე შრომაი ჩემი შევძლუ[ენ] უგანა[თ]ლებაესობასა თქვენსა. ვთხოვ ღმერთსა და აქ მოხსენებულთ წმიდათა, რათა მფარველ გექნესთ და შეგზ ქრისტესა წინაშე, თქვენი უმცროსი ძმა ბაგრატ. ს. პეტ[ერ]ბურ[ხს] — 18 $\frac{7}{10}$ 15.“

ვისცა ვინ მღღელნი, ანუ დიაკონი, ანუ ერისკაცნი წარიკითხავდეთ, ცოდვილს მეფის ძეს ბაგრატს შენდობას უბრძანებდეთ“. (25r—v).

(1165)

2746

ჟამნი. XVIII

335 ფ.; 17,5×13,5; ქაღალდი; ტყავდაკრული ტვიფრული ხის ყდა; ზედა მხარეზე მედალიონში ამოტვიფრულია ჯვარცმის სცენა, ქვემო ყდაზე რომელიღაც წმინდანი; ზემო ყდის საცავი ფურცელი სტამბაში დაბეჭდილი საგალობლების ფრაგმენტი; ნუსხური; დასაწყისი ასოები შთავრულად და სინგურით; ბოლონაკული; [XVIII ს.]; გადამწერილია სხვადასხვა ხელით, ძირითადი ნაწილი იესე დეკანოზის მიერ (122v).

„ჟამნი. — „აღსდგე რა ძილისაგან უწინარეს შუალამისა, ესე ბრძანენ ეკლესიად მიმავალმან. აღდგომილნი ძილისაგან შეგივრდებით შენ...“ 17r—335v.“

შენიშვნები: 1. ჟამნი შედგება: ა) „ოხითანი ღრსმშობლისანი სრულიად წელიწადსა შინა, რომელი ითქმის მწუხრად...“ (1r—16v); ბ) თვეთა მეტყველება (184r—273r); გ) „პარაკლისი ახლად თარგმნილი. სავედრებელი ყოვლად წმი-

დისა ღრისმშობლისა მიმართ“ (275v—285r); დ) „ოხითა იბაკონი მარხვათა და ზადიკთანი“ (285v—296r); ე) „სახარებანი გამოავლინენი და დიდებაჲ აქებდითისა“ (296r—335v).

2) ხელნაწერის ტექსტი ძირითადად მიეყება 1899 წელს თბილისში დაბეჭდულ „ქამნს“, თუმცა დაბეჭდილ ტექსტთან შედარებით ზოგიერთი ადგილი შემოკლებულია და ზოგიერთი გავრცობილია.

ანდერძი (გადამწერისა): 1. ყოვლად წმიდაო სასო ჩუენო, შემიწყალე მჩხაბავი და უღირსი [იე სე]“ (შემდეგ ფურცელი ჩამოჭრილია, 16v).

2. „ქრისტე, შემიწყალე ფრიად ცოდვილი იესე დეკანოზი, ამის მწერალი“ (122v).

(1166)

2747

კრებული. XVII—XVIII

314 ფ; 15,5X20,5; ქაღალდი; უყდო; შემორჩენილია ზედა ყდის მხოლოდ ნახევარი; ნაკლები; ნუსხური; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; აქვს თავკაზმულობა: 2r, 164v და 246r; გადამწერი: დავით მღვდელი (263v); [XVII—XVIII სს.]; დაზიანებულია ფ. 186 და 297; დაუწერელია: 1v; 186v.

1. [ქამნი]. — „აღდგომილნი ძილისაგან შეგივრდებით, შენ, სხრო და ანგელოზთა გალობასა გიღალადებთ, შენ, ძლიერო...“ 2r—164r.

შენიშვნა: ქამნი შედგება: 1. „ქამნი შუალამისნი ბერძულნი“ (2v—16r), 2. ქამნი შუალამისნი შაბათისა“ (16r—23r), 3. „ლოცვაჲ წმიდისა ევსტათისი“ (23r—24r), 4. „წესი და ქამნი, რომელი ესრეთ ითქმის ყოველთა კვირიაკეთა ღამისთევათა შინა“ (24r—28r), 5. „ქამნი პირველი ცისკრისა“ (28r—37v), 6. „შაბათს გამოავლინე“ (37v—44v), 7. „ქამნი სამყამისა“ (44v—48r), 8. „ქამა შეექუსე“ (48r—52r), 9. „ქამნი ცხრ[ა] ქამისა“ (52v—61r), 10. „ქამნი მწუხრისანი“ (61r—67r), 11. „ქამნი დიდისა სერობისა“ (67r—78r), 12. „ქამნი მცირე სერობისა“ (78r—82r), 13. „იბაკონი წმიდისა ღმრთისმშობლისანი, რომელ არს დაუკდომელნი. ხოლო ბერძულად აკათისტო, ზეშთა მბრძოლისა ჩემისათვის...“ (82r—89v), 14. „ლოცვაჲ დღითი-დღე სათქმელი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა მიმართ. უკეთუ გსურის ხილვა მისი ქამსა სულისა განყოფისა“ (89v—91v), 15. „ლოცვაჲ წმიდისა ღმრთისმშობლისა მიმართ სვედრებელი“ (91v—93v), 16. [თუენი]. „თუესა სეკდენბერსა აქუს დღე ლ, დღეთა აქუს ქამი 12 და ღამეთა ქამი აბ. თუესა სეკდენბერსა დაწყებაჲ ინდიკტიონისაჲ, ესე იგო არს ახლისა წელიწადისა“ (94r—164r).

2. „სახარებისა და სამოციქულო სსაკითხავები — „წინაღით (!) განგებაჲ აღესრულების ათორმეტთა ქრისტეს შობისა, იწყონ ფსალმუნთა...“ 164r—186r.

3. [მარხვანი]. — „იწყებინა ოხითა იბაკოჲ და სამოციქულო სახარებაჲ მეზუერისა და ფარისეველისა. ღთო ყოვლისა მპყრობელო, უწყი საღთოჲ ძალი ცრემლთა...“ 187v—265v.

4. [აღდგომის კვირათა განგება]. — „ოხითა იბაკონი აღდგომისანი. კმაჲ ა. რაჲამს ლოდი იგი დაბეჭდილ იყო...“ 266r—289v.

5. „მარგალიტისაგან გამოღებული ცოდვილთა დამარბათა.— აწ რომელი მეგულების თქმად, შემეშინდების და შემიდრწუნების გული...“ 290r—297v.

6. „ცათ მოხილვა და გამოცხადებაჲ ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, რაჲთა განცხადნენ სატანჯველნი საუკუნონი, გუაყურთხენ მამაო. — აღვიდა რაჲ(!) ყოვლად წმიდაჲ ღმრთისმშობელი მათსა ზეთის ხილთასა...“ 305რ—313რ.

7. „სამთვარიო მართალი და ჭეშმარიტი ესე. — მთვარისასა დღე კეთილი თესვა, ნერგვა, ცხვართა რისვა წარწყმედილი ჰპოოს...“ 313რ.

წყდება: „...გუელმან ადამ აცთუნა და ევა მეექუსესა ჟამსა და სამოთხით გამოვარდეს, რომელი დასნეულ...“ 314ვ.

ანდერძი (გადამწერისა): „ღმერთო, შეიწყალე ამ წიგნის აღმასრულებელი დავით მღვდელი. ვინცა შენდობა მიბძანოთ, თქუენცა შეგინდნეს ღმერთმან. ამენ, ამენ, ამენ“ (263ვ).

მინაწერი (სხვა ხელით): „ტყვირბისთჳს ქერის ანაკუეთი ანუ იფქლისა ღვნითა დათუთქე და მღუღარე ეგრეთვე ზედა შემოსდევ და ერგოს, ველურ[ი] ნიორი კურმუხი ღვნითა შეაბე და შეასვი“ (266რ).

(1167)

2753

იონა ხელაშვილი, კატეხიზმო. XIX

219 გვ.; 19,3×12,3; ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული მუჯაოს ყდა, რომლის ზედა ნაწილი მოცილებულია; მხედრული; [XIX საუკ.]; დაუწერელია; გვ. გვ. 20, 21, 22, 34, 219; შემოწირულია ალ. როინაშვილის მიერ.

ლიონა ხელაშვილი. — „შემოკლებული კატეხიზმო. მართლამადიდებელთა ქრისტიანეთა ძეთა და ასულთა ყრმათათჳს ენისა აღმოდგმისა დროთავე შინა გაზეპირებად სიმოკლო სარწმუნოებისა და ჰსჯულისა ათთა მცნებათა და ლოცვათა საფუძვლისა, საუფლო მამაო ჩვენოჲსა. ნაწილი ჰირველი კატეხიზმოსისა. თავი ა:

კითხუა: რაჲ არს კატეხიზმო?

მისგება: ელინ-ბერძულ ჰრთული ლექსია...“ გვ. გვ. 35—218.

შენიშვნები: 1. ტექსტს უძღვის: ა) „ეპისტოლე, მიწერილი უფლისა დოღოვისა(!) მიმართ. სოლომონ იოანეს ძისად წელსა 1827, თთუშსა აპრილსა 12, სამშაბათსა სპაზრ იონა ხელაშვილისა მოძღვროსაგან...“ (გვ. გვ. 1—19).

ბ) „სარჩევთა-მეტყველება კატეხიზმო რკუშელისა ამის ბუნებითი ღმრთისმეტყველებისა და გამოცხადებითი ღმრთისმეტყველებისა, ძუშლისა და ახლისა აღთქმებისა წიგნებთაგან, რომელნი სულმან წმიდამან დასწერა წინაწარმეტყუელთა ჭელებთაგან და წმიდათა მოციქულთა...“ (გვ. გვ. 23—33).

2. ტექსტის ყველა გვერდზე გაკეთებულია სქოლიოები იონა ხელაშვილის მიერ.

მინაწერები: 1. ზედა საცავი ფურცლის შიგნით: „აღლექსანდრე სოლომონის ძე როინაშვილისა. ვწირამ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების წიგნსაცავსა(!). ეს კატეხიზმი ვიცილდ იარმუკაზე ძველი წიგნების მოვაკრესაგან თფილისში, იანვრის 26, 1896 წელსა. ა. ს. როინაშვილი. № 3“.

2. Нина, Анастасия (გვ. 220).

(1168)

2764

კურთხევანი. XVIII

100 ფ.; 19×14,5; ქალაღი; თავ-ბოლო ნაკლები; თავში აკლია პირველი რვეული მოლი-ანად და მეორე რვეულის 4 ფურცელი: წყდება მე-14 რვეულზე; უცდო; დაშლილი; ნუსხა-ხუცური; შავი მელანი; შიგადაშიგ გამოყენებულია სინგურიც; [XVIII ს.]; შემოწირულია ნიკოლოზ გაბრიელის ძის ასათიანის მიერ.

[კურთხევანი]. — „...წინააღმდეგომობისა და შემთხვევისაგან ეშმაკისა შუადღისა და საცთლ[უ]რთაგან მისთა ბოროტთა...“ 1რ.

წყდება: „...მკუდრად იხილვე ჯუარსა ზედა უკ^ადო და საფლავსა შინა, ვითარცა მკუდარი დაიდევ, რომელი ჰხრწნილებისაგან და სიკუდილისაგან თავისუფალნ ნათესავი კაცთა, არამედ ვითარცა ხარ უფესკრული მმწყალეების განუცდელი უსაზღრო და წყარო...“ 100ვ.

შენიშვნა: კურთხევანი შედგება: 1. „ლოცვაჲ წმიდისა ნათელისა ემბაზსა ზედა ყრმითურთ“ (2რ—6რ); 2. „ლოცვაჲ აღკვეცასა ყრმისასა“ (6ვ—8ვ); 3. „წესი, რომელი იქნების წინდობისა“ (6ვ—8ვ); 4. „ლოცვაჲ გვრვანის კურთხევისა“ (8ვ—18რ); 5. „ლოცვაჲ ზეთსა ზედა“ (18რ—34ვ); 6. „ლოცვაჲ მცირისა აიაზმისა“ (35რ—40ვ); 7. „ლოცვაჲ დიდისა აიაზმისა“ (40ვ—47რ); 8. „პარაკლისი ღვთისმშობლისა აღსარებასა ზედა ცოდვილისასა, თქმული ეფთჳმის მიერ მონაზონისა“ (47რ—55ვ); 9. „ლოცვაჲ სულთ ბრძოლისა“ (55ვ—58რ); 10. „წესი, რომელი აღესრულებს ერის კაცსა ზედა შესვენებულსა, რაჟამს განვიდეს ამიერ სოფლით“ (58ვ—73ვ); 11. „ლოცვაჲ და წესი მდდელსა ზედა მიცვალებულსა“ (73ვ—93ვ); 12. „წესი, რომელი აღესრულებს მონაზონსა ზედა აღსრულებასა“ (93—100ვ).

(1169)

2765

რუსულ-ქართული ლექსიკონი. XIX

144 ფ.; 17,5×21,5; თუარი ქალაღი; ხის ტყავადაკრული ტვიფრული ყდა; ბოლინაკ-ღული; [XIX საუკ.]; კვირინიანი 1826 წ. (ფ. 4); შემდგენელი პავლე ასათიანი (?); შემოწირუ-ლია ნიკოლოზ გაბრიელის ძის ასათიანის მიერ.

[რუსულ-ქართული ლექსიკონი]. —

A—ბოლო, არამედ, და.

аѢаси — აბაზი...“ 1რ.

წყდება: шастливый — ბედნიერი.

шебенѢ — ხიჭი, ნამუსრი, ღორღი...“ 144ვ.

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილი აქვს მ. კვლენჯერძიძეს წიგნში — „რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონები XVIII—XIX საუკუნეებისა“, თბილისი, 1961 წ., გვ. 10.

მინაწერები: 1. „მოჯამაგირეთა დავიჭირე პავლე ბიჭი 12 იანვარსა, 1855 წელსა...“ (1რ).

2. „Из книг Николая Гавр. Асатиани“ (1რ).

3. „ნიკოლაი გაბრ. ასათიანის“ (1რ).

4. „პავლე ასათიანოვის არის. ვინც იპოვნოს და არ მისცეს, ვაუწყრეს წმინდა მარინის მადლი“ (ქვედა ყდის შიდა მხარე).

5. განსხვავებული ხელითა და მელნით: „შემდგენილი პავლე ასათიანისა“ (ზედა ყდის შიდა მხარე).

(1170)

2766

წმინდათა ცხოვრება. XIX

196 ფ.; 20,5X16,5; ქალღიმი; ხის ტყავდაკრული ყდა; მხედრული; გადამწერი — ტერ-ანტონი (2v); სათაურები და საზედაო ასოები სინგურით, [XIX ს.]; დაუწერელია: 5v, 196r. შემოწირულია ნიკოლოზ გაბრიელის ძის ასათიანის მიერ.

„წმინდათ ცხოვრება: — 1. წმიდა ევსტაქეო: ევსტაქეოს, ანუ ევსტათეოს, ჯერ რომ არ გაქრისტიანებულიყო, პლაკიდოს გინა პლავიდას ეწოდებოდა...“ 6r—14v.

2. „წვიდთა ყრმათა ეფესოსთა. ეფესოს ქალაქს, ჰისა აიასლუქ ითქმის, მფრინველადა თქმული ადგილი არის...“ 14v—21r.

3. „ცხოვრება ევგინე ქალწულისა. — ესეცა იყო ასული ფილიპესი, რომელი ჰრომის აზნაურებთაგანი ერთი იყო...“ 21r—30r.

4. „წმიდა ადრიანესი და ანატოლისა. — ადრიანე იყო კერპთმსახურის შვილი, მაგრამ ცოლი თვისი ანტოლა ქრისტიანე იყო...“ 30r—39v.

5. „წმიდა სანდუხტე ქალწულისა. — ესე ასული იყო სანატრუქ წოდებული სომეხთ მეფისა, როდესაც თადეოს მოციქული; საშეოცდა-ათორმეტ მოწაფეთაგანი. ერთი მოვიდა სასომნეთოში...“ 39v—47r.

6. „წმიდისა შუშანისა. — ამისი სახელი ვარდანუჰი, გინა ვარდუჰი იყო. გარნა ფრად მშვენიერებისა და ნათლოვანი სახის ყოფნისათვის შუშანა იწოდა...“ 47r—48r.

7. წმიდისა ფებრონესი. — ესე ორი წლისა რომ იყო, ვანქშა შეიყვანა ბრიონე ქალწულთ მთავარმან...“ 48r—58r.

8. „წმიდისა გიორგისა. — ყაისარის ვც(?) კესარიის თემში იშვა; ბარაშამის ქყანაში აღიზარდა...“ 58r—64v.

9. წმიდისა კლემენტე ჰრომის მამადმთავრისა. — ესე ჰრომაელი კერპთმსახურის შვილი იყო, სამეფო სახლისაგან...“ 64v—66v.

10. „წმიდისა იოვანე ოქროსპირისა. — მამა მისი იწოდებოდა სეკუნდო, რომ მოლაშქრობის პატივი აქუნდა კეისრის კარზედ...“ 66v—74r.

11. „წმიდისა ვარვარესი. — ეს დიდებული ქალწული ჰელიუპოლის ქალაქისაგან იყო...“ 74r—78r.

12. „წმიდა იოვანე ნებერი გლახაკისა. — ამის მამა ეფესტრაპიო იწოდებოდა, რომ სტამბოლს არკადეოს კეისართან სარასკარი იყო...“ 78r—87r.

13. „წმიდისა თეკლასი. — ეს ქალწული იკონიის, გინა ღონიის ქალაქისაგან იყო, და დედა მისი ქვრივით დარჩენილი იყო...“ 87r—92r.

14. „წმიდისა იაკობ მზნის(!) მამამთავრისა. — თავისი მამა იწოდებოდა ტირანი, რომელს ამბობენ, რომ ჰეფთალის გვარის მეფე იყო...“ 92r—97v.

15. „წმიდისა თევდორესი ანუ დოროს წოდებული ტივროს. ამასიის ქალაქის ახლოს იშვა, რომელი ახლოს იყო მეორე სომეხთ ზემო ქალაქისა...“ 97v—100r.

16. „წმიდისა თევდორე ჯარისთავისა. — ესეც იმ ერთი თევდოროსავით შექაიტე სოფლისაგან იყო...“ 101r—103r.

17. „წმიდისა ძეგბრაქსისა. — ესე იშვა სტამბოლს, წელსა ვითარ სამას ოთხმოცსა, რომ მეორე წელიწადი იყო დიდი თევოდოს კეისრისა...“ 103v—109r.

18. „წმიდისა ბასილისა. — იიშობა კესარიასი და თავისი პირველნი სევისტელნი(!) იყუნენ...“ 109r—111v.

19. „წმიდა ანტონი აბბა, გინა მეუღაბნოელი. ესე ყფთი(!) იყო ეგვიპტელი, კეთილმსახური და სულიერი მშობლების ძე...“ 111v—117r.

20. „მეგფიმე კუსისა(!) ხატი სოფლისაგან იყო, ეამსა დევოკლესიანე კეისრისასა...“ 117r—119v.

21. „წმიდა ათანასი. — იშობა ისკანდარიაში, რომ წერილთა შორის აღექანდრია ისახელების...“ 119v—125v.

22. „წმიდა სარქისი კაბადოკიის ქყნისაგან იყო, რომ ყაისრის(!) ქყანა არის, ჭკვიანი და სიტყვათა მარჯვე...“ 125v—130r.

23. „წმიდისა სვიმონ მესვეტე რადგან ანტიოქის ქყანას შობილი იყო, მცირე თევოდორე კეისრის დღესა...“ 130r—135v.

24. „კატარინე ქალწული გინა ნექტარინე. აღექანდრიის ქალაქისაგან იყო. იმისთვის თვთანაც კატარინე აღექანდრელი იწოდების...“ 135v—137v.

25. „წმიდა კირილე იერუსალიმელი პალესტინის ქყნისაგან იყო, რომელ არს ბარაშამი. იერუსალემის ქალაქში ისწავა...“ 137v—140v.

26. „წმიდისა პანდელეონისა. — იზნიმიტის ქალაქისაგან იყო, მაქსიმიანო კეისრის დროს...“ 140v—143v.

27. „წმიდა ვონოფრი ჭიქნაორი, რადგან ეგვიპტისაგან იყო, პატარაობითგანვე ბერათ ვახდა...“ 143v—146v.

28. „მარიანე ქალწული, რომელიცა(!) მარგალიტა. — ეს ქალწული ანტიოქის ქალაქიდან იყო, რომელი პისიდის თემში არის...“ 147r—150v.

29. „წმიდა იგნატიო ღთშემოსელი(!) მამამთავრისა. — ეს წმიდა ის ყმარწვილი არს, რომელიც იესომ თავის ღლიაში აყვანით ზედ ხელი დაადვა...“ 150v—152r.

30. „გრიგოლ ღთისმეტყველი, რომელიცა ნაზიანზელი იშობა ნაზიანზ ქალაქში, დედა მისი ქრისტიანე იყო და ფრიალ კეთილმსახური...“ 152v—155v.

31. „გრიგოლ ნივსელინა(!). — ძმა იყო წმიდისა ბასილისა. იმასა და მაკრინა დასა მისსა გამხრდელისაგან პატარობიდანვე კეთილი გაწვრთნილობა აქუნდა...“ 155v—156v.

32. „გრიგოლ სასწაულთმოქმედი. — იგი ნევიკესარიის ქალაქისაგან იყო, რომლის თემი პონტოს იწოდებოდა. წარმართ მშობელთა ძე, არამედ პათიოსანი გვარისა...“ 156v—160v.

33. „წმიდისა ქრისტიანე ქალწულისა. — ტივროს ქალაქისაგან იყო, ტრაიანე კეისრის დროს, მხოლოდ ერთი შვილი თავის მშობელთა, რომლის მამას ურბანო ერქვა...“ 160v—163v.

34. „წმიდა ეპიფან კიპრელი. — ესე იყო ძე ერთი გლახაკი ჰუარიისა, ერთ სოფელში რომ შვიდი მილის ოდენი შორს იყო...“ 164r—167r.

35. „დივომილია მკურნალი. — ესე შობილი იყო ტარსონის ქალაქში, რომელ ახლა თარშისი იწოდების...“ 167v—169v.

36. „უ ლ ი ა ნ ე ქ ა ლ წ უ ლ ი. აირიკანოს ერთი დიდი მთავარის ასული იყო იზნიმიტის ქალაქში. მაქსიმიანე კეისრის დროს...“ 169v—173v.

37. „კ ი რ ი ლ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ლ ი. იშობვა ესე ალექსანდრიის, ისქენდერის საზღვარში, პატიოსანი და კეთილმსახური მშობლებისაგან...“ 173v—175r.

38. „წ მ ი დ ა ა ბ ბ ა მ ა რ კ ო ზ ი. — ერთს დღეს, ოდეს წმიდა სრაბიონი იოვანე შეიქნა ვოროთან იყო (?) ერთი ხილვა იხილა, რომ ორნი ბერნი უძახდნენ მას...“ 175r—181r.

39. „პ ე ლ ე გ ი ა, გ ზ ნ ა პ ე ლ ა გ ი ა ქ ა ლ წ უ ლ ი ტ ა რ ს ო ნ ე ლ ი. — ესე იყო ერთი ჭკვიანი და მშვენიერი გოგო, ზენგინი კაცის ასული, მაგრამ კერპთმსახური...“ 181r—182v.

40. „წ მ ი დ ა გ რ ი გ ო ლ გ ა მ ნ ა თ ლ ე ბ ე ლ ი ს ა (!). — იმის მამას ეწოდებოდა ანაკ და დედასა მისსა ოგოპე, რადგან რომ მამამისი პართეველთ გვარისაგან იყო...“ 183r—189r.

41. „ჭ რ ი ფ ს ი მ ე დ ა გ ა ი ა ნ ე. — დევოკლესიანე კეისრის დროს ერთს ადგილს შეკრებულნი ისხდნენ ქტიანენი ქალწულნი ჰრომის ქალაქში...“ 189r—194r.

შენიშვნები: 1) წიგნს ერთვის „ზანდუცი ამა წიგნისა“ (194v—195v).

2) „ცხოვრებები“ თარგმნილია რომელიღაც სომხური გამოცემიდან. სავარაუდებელია, სომხის შიერ. თარგმანი შესრულებულია ულახათოდ, არის არმენიზმები.

3. თხზულებებს წინ უძღვის მოსახსენებელი.

„მ ო ს ა ხ ს ე ნ ე ბ ე ლ ი.“

უწინდელს დროს ქრისტიანობისასა ეკლესია ჭლიერს დევნულობაში იყო კერპთმსახურთ ჯელთაგან. მაშინ ქრისტიანის თქმა, ქრისტესათვის სისხლის დაქცევის თქმა იყო თითქმის. ოდეს ერთი სისხლს დააქცევდა და წამებული განდებოდა, დანარჩენი ქრისტიანენი, ვითარცა ერთ დიდს გამარჯვების ქმნასა ისრე განხიარებდნენ და მათს ნაწალების შეკრებით ზედ ილოცევდნენ და მადრიელ იქმნებოდნენ ღოთისა. და ითხოვდნენ მადლსა, რათა რომ მათი მეოხებინათ ღონ ივითანც ღირსი ჰყოს წამებულად გახდომისა. რაოდენსაც რომ ესენი თვალთ უყურებდნენ იმათ გაწეულს სატანჯველსა, თვითანაც სიყვარული მოუვიდოდათ ღოთისათვის წამებულად გახდომისა, ანუ შეკირვების გაწევისა.

შემდგომად, როდესაც დევნულობა დასცხრა, ქრისტიანობა განეფინა. უწინდელს წამებულების ცხოვრებას წარიკითხევდნენ. წლის თავზე მათი ნაწილების ადგილს შეიკრიბებოდნენ და წირვას იქმოდნენ და მათს გაწეულს სატანჯველთ ერთმანერთს მიუთხრობდნენ და მათს ქებას ლაპარაკობდნენ. ამით, თუ რომ თვითონ არ ეხილათ თავიანთზედ უწინდელეებივითა, გარნა ყურით სმენითა წამებულების ცხოვრებისა თვალთ ნანახივით იქმნებოდნენ და მრავალს ისარგებლებდნენ.

მერმე და მერმე ასრე იქმნა. რომ წმიდათ ცხოვრების კითხვა ჩვეულობასავით გახდა, როგორც საკირო ერთი წიგნი. ეკლესიაში ყოველთ წინაშე წარაკითხევდნენ და ყოველნი ფიქრის მიყრითა თვითონაც კეთილს მაგალითს აიღებდნენ.

რაოდენმე გზის ერმან ქრისტიანემან ერთი ეფისტოლე(!) მისწერა ერთს წმიდასა კაცსა გამოკითხვით, რომ აჩვენოს, თუ რა გზით შეიძლებს სულის მოგებასა და წმიდათ გახდომასა. იმანაც მისწერა იმასა. რომ წმიდათ ცხოვრება იკითხოს და პრქვა: წაიკითხვით თვალთ ნანახივით იქმნები და შეიტყობ, რომ იგინიც ჩვენსავით კაცნი იყუნენ, ხოლო თუ როგორ შეიძლეს სულის მოგება, იხილავ, რომ იგინიც ამ სფველში ყოფილან თვითთა თვითთა გზითა. მეორეც

სხვა გზითა, მაგრამ იმფერად იცხოვრეს, რომ სასუფეველი მოიგეს, შენცა ხილვითა იმათგან მაგალითს აღებ.

აჲ, ამ სარგებლის ცნობითა გრძობან კეთილმან გვამმან ითხოვა ამ წიგნის გამოლება დაბეჭდვითა, ვითარ დასტამბევითა; სადაც აღწერილ არიან ჩინებულნი წმიდათ ცხოვრებანი ნდომითა, რომ კეთილ უფროს ჩვენს გვარსა, რომელ ნატრულ იყო ამა წიგნისა გლეხურს ენასა ზედა აღაბეჭდინა, რათა რომ ყოველთა შეიტყონ და წაიკითხვიან იხარებდნენ. ესე არს ერთი სულიერი მოწყალების საქმე, რომელი უმეტესად უფროს საჭირო არის და სარგებლოვან უფროს ჭორციელი მოწყალების საქმისა. ინება რომ ეს წიგნი მოსახსენებლად იყოს თუ ლუმბაჯიანთ პეტროს ყმარწვილისა, რომ თავისი და ყოველთა საყვარელ შვილ ყოფნითა თავის ახალ ყვავილობის წელსა შორის მიიცილა. ყოველნი ოდესაც წარიკითხვენ, ოდესაც ისარგებლებენ აქ აღწერილი წმიდანების ცხოვრების სმენითა, ამ სულსაც მოიხსენებენ თავიანთ ლოცვაში და ითხოვენ წმიდათ მეოხებასა, რომელი თუ იმისი სულისათვის და თუ თავიანთთვის, რომ ამა კეთილი საქმის მიზეზი გახდა.

ახლა ესოდენი წმიდათ ცხოვრება გარს გამოვიდა და შემდგომად ამისი სულიერით ნაყოფის ხილვითა დანაშთენით წარნების ცხოვრებასაც გამოვიდებთ. თუ იმათ, რომელთაც ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს და თუ ლატინთასა“ (4r—5r).

მინაწერები: 1. „წელსა 1889-ა იანვრის 3-ს, დღესა ვსწერ გაბრიელ ალელოვი“.

ესე წმიდანების ცხოვრება არის ალელიანთ ოჯახობისა, რომელიც არის ნასყიდი გოლადცვალებული ბებერა ჩემისა, რომელსაც დაუწერიანებია გარდაცვალებული ხიზამბავოელი ტერანტონისათვის და ვარდა ამისა მამაჩემს, ე. ი. იაკობ ალელოვს, გარდაუთხოხია ეს წმიდანების ცხოვრება რამთონჯრამე. და წამკითხველნი, გთხოვთ უმორჩილესად შენდობა შეუპოვალთ ამ ნაწერში გამოცხადებულ მიცვალებულებს. გაბრიელ ალელოვი“ (2r).

2. „თამარ მეფის ნათქვამი:

უბის ავაგე საყდარი, უწყლოსა წყალი ვადინე,
ისპაპანს დადე ბეგარა, სტამბოლს ხარაჯა ავიღე,
თეთრს ზღვაში რკინა ჩავაგდე, ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე,
ამდენ საქმის მომქმედმა ცხრა აღნი ტილო წაიღე“ (1v და 2r).

3. „ესე წმინდანების ცხოვრება დაუწერიანებია დედაჩემს გარდაცვალებულ ხიზამბავრელი ტერანტონისათვის. წამკითხველთ, ამა წმინდანების ცხოვრების, შენდობა ბრძანეთ“ (2v).

4. „დედინემოს კარდაცვალების წელი, გინა რიცხვი 1867-ს წელს, ნოემბრისთვის, გინა გიორგობისთვის 16-ს, დღესა ხუთშაბათ. ღამის თათრულს ანგარიშზედ მესუთე საათზედ, ზეციერს შეუფეს მიაბარა სული. ეს აღწერე მე იაკობ ალელოვმა“ (2v).

5. „ეს წიგნი ხანუმათ ელენასია, ვინც იპოვნოთ, ისევ პატრონს შეეცით ვისაც. ღთის საყვარული გაქვსო. ეს წერილი დავსწერე მე სტეფან ალელოვმა ქორონიკოსს 1841-სა. იანვრის, 2-სა დღესა“ (196v).

6. ქვედა ყდის შიგნითა მხარეს და 196v-ზე არის უმნიშვნელო მინაწერებე.

2767

გაწრთვნა ყრმათა. 1831

169 ფ.; 22X17.5; ქალალი: მუყაოს ყდა; მხედრული: 1831 წ. (1r); თარგმნილია სომხურიდან: მთარგმნელი იაკობ მურადოვი (1r); თარგმნის ადგილი ქუთაისი (1r); დაუწერელია 1v; შემოწირულია ნიკოლოზ გაბრიელისძის ასათიანის მიერ.

(გაწრთვნა ყრმათა). — წილი პირველი. სკოლაშიდ წამსვლელ ყრმათა საცოლინელ საჭირო საქმეთა ზედა. მოკლე მცნება სკოლასა.

ზედა. სკოლა ერთი ადგილი არის, რომელსა შორის ყმარწვილი იმ საქმებს შეეჩვევიან, რომლებითა ნეტარელი, გინა ბედნიერი კაცი გახდებინა..." 4r—163v.

შენიშვნები: 1. თხზულება შედგება ხუთი ნაწილისაგან.

2. 164r—167r არის „ზანდუკი ნაწილთა, თავთა და ნაკვეთთა ამ წერილისა“.

3. წინ უძღვის: ა. „გაწურთენა ყრმათა კითხვისა და ბედნიერობის სწავლებასა ზედა. გულმოდგინე სარკლით შეთხოხული(!) მამა პავლე მთავარი იონიანი, ერთობისაგან ყოვლად პატივცემული მხითარისა დიდისა ამბისა. ვენის ქალაქსა შინა, სასტამბოსა მხითართან მამათა, 1826. რომელი აწ თარგმნულ იქმნა სომხურის ენისაგან მხედრულს ენასა ზედა ამავე ენის მცოდინე(!) ყრმათა სასარგებლოდ და განათლებით აღსაყვავებლად მათივე გონებისა. ახალციხელი ტრაქუ იაკ[ო]ბ მურადოვის სარკლითა, ქუთაისა შინა, წელსა 1831, აგვისტოსის პირველსა“ (1r).

ბ. „შესავალი“ (2r—3r).

4. ერთვის ბოლოსიტყვაობა (167r—168r).

5. 168r-ზე არის მინაწერი: „ტერ იაკობ მურადოვი“.

(1172)

2768

მოთხრობა მამალ-ძმობილასი. XIX

58 ფ.; 21×15,5 და 21×17,5; ქალღი; უყდო; დაზიანებულია პირველი ორი ფურცელი; მხედრული; [XIX ს.]; თარგმნილი სომხურიდან; მთარგმნელი პავლე ივანეს ძე ასათიანი (58v); შემოწირულია ნიკოლოზ გაბრიელისძეს ასათიანის მიერ.

„მოთხრობა აქლორ(!) [ა]ლპარასი; ესე იგი მამალ-ძმობილასი. წარსულ დროებაშია ერთი საკმაოდ მდიდარი კაცი იყო. დაქორწინდა და ცოტა ხანის შემდეგ დაეზადა მას ერთი ვაჟი...“ 1r—58r.

ანდერძი: „სომხურიდან ქართულზე ნათარგმნია პავლე ივანეს ძე ასათიანისაგან“ (58r—v).

მინაწერი: „ქველ ვერ გამოვიჩინე, ქალაღმა მიყო ზიანი, მელახმა იკლო ფერითა, მან შემქმნა მიზეზიანი, ასო ვერ დავსხი გაწყობით, ვერც პოე ლამაზიანი, მაშინცა ვსწერდ ყოველ დღე, რა დილა ვნახე მზიანი (58v).“

(1173)

2769

ბრძენთა ბრძენი. XIX

160 გვ. 34,5×22; ქალღი; უყდო; დაშლილი; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია გვ. 160; შემოწირულია ნიკოლოზ გაბრიელის ძის ასათიანის მიერ.

„ქამილი ალ ქალამ; ესე იგი ბრძენთა ბრძენი. — დროსა ერთსა ერთი მეფე იყო, სახელად აბი ომარ ასად ერქვა. ძრიელი მეფე იყო, ალაბსა და შამსა ჰვლობდა...“ გვ. 1—159.

შენიშვნა: თხზულება თარგმანია. გადაწერილი (თარგმნილი?) უნდა იყოს პავლე ასათიანის მიერ (შდრ. S—2768).

(1174)

2770

კრებული. 1785

III+52 ფ.; 8,6×14; ქალაღი; ტყავგადაკრული ტვიფრული ზის ყდა; მხედრული, სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; 1785 წ. (50v); დაუწერელია: ფ. I—III, 23, 51; შემოწირულია ნიკოლოზ გაბრიელის ძის ასათიანის მიერ.

1. [არჩილი. ანბანთქება]. —

„არსი ყოველთ დამარსი, სხუა უარსო არ სად არი.

არასი ქამს შედარება; არც ყოველთ ნივთთ დასადარი...“ 1r—16r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. „არჩილიანი“, ტ. 1, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1936 წ.). გამოცემასთან შედარებით ტექსტს აკლია შემდეგი სტროფები: 12, 27, 34, 70, 75, 76, 77, 78.

2. [ლოცვა]. — „მრწამს ერთი ღმერთი, მამა უშობელი და ერთი ძე, დასიტყვა ღვთისა მამისაგან შობილი...“ 16v—22v.

შენიშვნა: ლოცვა კათოლიკურია.

3. [ვახტანგ ორბელიანი]. — „ამბავნი ქელმწიფისა სრასახელთა, და ბაღჩაბაღთანი, რომელი ვიხილე. იგი ალვისწერი, რომელი არა, დაუტევეყე. — მე, ვახტანგ ორბელიანი, წელსა ჩლვ, თვესა აგვისტოსსა ვ[6]...“ 24r—45v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. დავით ბრეგაძე, ქართველთა მწერლები რუსეთში, 1958 წ., გვ. 323—341). გამოცემაში ჩვენი ხელნაწერი აღნიშნულია B ლიტერით.

4. [სულხან-საბა ორბელიანის სამოგზაურო ჩანაწერი]. — „ეს სახაბაზაო. ზედათს ფქვილს დააგროვებენ გაუცრელსა და იმ პატარას ხერელში ჩავა...“ 46r—50r.

შენიშვნები: 1. ტექსტი დამატების სახით გამოქვეყნებული აქვს რ. ბარამიძეს წიგნში: „სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, 1959 წ. გვ. 246—249.

2. 52v-ზე არის უმნიშვნელო მინაწერი.

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს (იხ. Описание, II, გვ. 261—262).

ანდერძი: „განსრულდა სადიდებლად ღმრთისა, ყოვლად შემძლისა და პატივად ყოველთა წმიდათა მისთა, 1785“ (50v).

(1175)

2771

ვახტანგ VI სამართლის წიგნი. XVIII

52 ფ.; 31,5×20,5; ქალაღი; ხის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; ნუსხური; შავი მელანი, სათაურები სინგურით; გადამწერი — მარკოზ (52v); [XVIII საუკუნე]; შემოწირულია ქრისტეფორე მამაცაშვილისაგან.

[ვახტანგ VI, სამართლის წიგნი]. — „მყოფისა უმყოფისა, არსისა და უარსისა, დამარსისა მქებნი, არა თუ ღირსად და შეძლებისა ჩემისა-

ებრ მკვებელი დამმონებელი, უდებად მქონე მპოვნელ კიქმენ, ვითარცა მეფე-
ნი. დღითი-დღე მრეველნი კელთა მარგალიტთა შინა და ჰპოებენ მძივთა...“
1r—47r.

შენიშვნები: 1. სამართლის წიგნში 263 მუხლია.

2. ხელნაწერს მრავლად აქვს კიდევზე დ. ბაქრაძის შენიშვნები, რომ-
ლებიც მას გამოუყენებია მის მიერ ვახტანგის სამართლის წიგნის რუსულ გა-
მოცემაში (იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის გამოცემა,
1955 წ., გვ. 38).

3. ტექსტს ბოლოს ერთვის: „საძიებელი წიგნისა ამის სამართლისა“ (47v—
52r).

4. ტექსტი გამოცემულია თ. ენუქიძის მიერ 1955 წელს. ნუსხა C რე-
დაქციის ტიპისა.

5. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს (იხ. Описан-
ие, II, გვ. 623).

ანდერძი: „ღმერთო აცხოვნე და შეიწყალე წყალობისა შენისათვის უღირსა
მარკოზ“ (52v).

მინაწერები: 1. „წელსა ჩუკა ქრტიშობითვის იე, თუთხმეტსა დაიბადა
ნინო ნასყიდაშვილი, ბრეთი რომ შეკრული იყო ქირის მიზეზითა“
(51v).

2. „ბრალი არის საწუთოსა კაცი ბრიყვი, გაუზღელი,
ვერ მალისა ამწლომელი, ვერ დაბლისა დასწდეს მწდელი,
პირუტყველად მოარული, ვერასფერით ვერას მრდელი,
და მგზავსთა მიხდეს მისი მგზავსი, გაუძრომი, გაუზღელი“ (51v).

3. „ქ. პატარა მეღანა დაიბადა ქრისტისშობის თვეს თერთმეტს, წელსა
ჩუკა“ (52r).

4. „ქ. პატარ(!) სვიმონ დაიბადა თებერვალსა თვესა 2, წელსა ჩუკა“ (52r).

5. „სიბრძნე ამისთინ კარგია, რასაც იქს შევნიერადო,
მდაბალსა ასე აიყვანს სიმაღლედ, შესამზერადო,
სიტყვასა იტყვის ქცეულსა საძველად დასაწერადო,
და კვაბსა ქორათ შეგიცვლის. მიმინოს აქცევს მწყერადო“ (52v).

6. „ღმერთო აცხოვნე მიქელაძე გაბრიელ“ (ქვემო ყდის შიდა გვერ-
დი).

7. დ. ბაქრაძის ხელით: „თქმული და ნაღვაწი და ნასიბრძნი ნეტარად
სახსენებელისა მეფისა ვახტანგისა, ეამსა უფლისწულობისა მისასა,
რომლისა საუკუნოდ იყავნ ხსენება მისი“ (1r).

8. ზედა და ქვედა ყდის შიდა გვერდებსა და 52r—v-ზე არის კიდევ უმნიშ-
ვნელო მინაწერები.

(1176)

2772

საღმრთო ლიტურდია. XIX

24 ფ.; 22,5×18; ქაღალდი; უყდო, დაშლილი; მხედრული; სათაური ნუსხურით, დასაწ-
ყისი ასოები შთავრულით; [XIX ს.]; დაუწერელია: 1r, 23r—v, 24v; შემოწირულია ანტონ
ფურცელაძის მიერ.

„დასაწყისი სამღრთოსა ლიტურდიისა.

ქართული

რუსული

ოდეს გამოვალს დიაკონი
და დასდგების ამბონსა(?)

დიაკონმან

ზედა და იტყვს:

გ კ ს ნ მ ე უ ფ ე ო

ბ ლ ა ლ ო ს ლ ო ვ ი ვ ლ ა დ ი კ ო ...“ 2v—22v.

შენიშვნები: 1. რუსული ტექსტი წარმოდგენილია ქართული ტექსტის პალეოგრაფიულად. რუსული ტექსტი დაწერილია ქართული ტრანსკრიპციით.
2. 1v, 2r და 24r-ზე არის უმნიშვნელო მინაწერები.

(1177)

2773

კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი (ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი). 1824

40 ფ.; 22×17,5; ქაღალდი: თეთრი, ლურჯი; უყდო; მხედრული: შავი მელანი; დასაწყისი ასოები მთავრულად; სათაურები სინგურით; გადაწერილია ვლადიკავკავსს 1824 წ. (38v); დაუწერელია: 1r—v, 4v, 39r—40v, შემოწირულია ანტონ ფურცელაძის მიერ.

ქ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი. — „წესი ეკლესიის საფუძვლის დადებისა. რომელსა ენებოს აღმწევა ეკლესიისა, პირველად მოვალს კათალიკოსისა წინაშე...“ 5r—38v.

შენიშვნები: 1. კურთხევანი შედგება: ა) „წესი, რომელი აღესრულების შეგრვასა(!) წმიდისა ტრაპეზისასა“ (29r—32r); ბ) „წესი ტრაპეზის გარეცხისა წმიდასა და დიდსა ხუთშაბათსა“ (32r—34r) და გ) „კურთხევა ოდიკისა ქართული ბერძულად ეკლესიასა თანა იკითხვის“ (34r—38r).

2. ხელნაწერი წარმოადგენს ვახტანგ VI სტამბაში დომენტი კათალიკოსის საფასით 1719—1720 წლებში დაბეჭდილი „ეკლესიის კურთხევის“ პირს (იხ. ქართული წიგნი, ტ. I, გვ. 26).

3. „ეკლესიის კურთხევას“ წინ უძღვის დომენტი კათალიკოსის წინასიტყვაობა (2r—4r), რომლის ბოლო ნაწილი, სადაც მოხსენებულია წიგნის მთარგმნელი კვიპრიანე სამთავნელი, დაბეჭდილია (იხ. ქართული წიგნი, ტ. I, გვ. 26).

ანდერძი (გადაწერის): „აღიწერა ქალაქსა ვლადიკავკავსს, ჩუკდ წელსა, სექტემბრის იო-ს“ (38v).

2774

მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი ი მ პ ე რ ა ტ ო რ ნ ი კ ო ლ ო ზ I

გადატანილია საბუთების კოლექციაში Sd 2316.

(1178)

2775

კ რ ე ბ უ ლ ი. XVIII.

291 გვ.; 16,5×21; ქაღალდი; რესტავრირებული; ჩასმულია ახალ ყდაში; მხედრული; შავი მელანი; [XVIII საუკ.; დაუწერელია გვ. 202—203; შემოწირულია კონსტანტინე თავართქილაძის მიერ.

1. „ე ფ უ დ ი, რომელი აღწერეს წმიდათა წინასწარმეტყველთა და მამად-მთავართა ყოელთა მღვდელთ-მოძღვართა, რათა, რა მივიდნენ მორწმუნენი კაცნი იკითხვად, რასაცა მისანთა და ქერის მყრელთა თანა უკეთუ იკითხვიდეთ, ვითარცა მთოვართაგან მიგცესთ, ეგრეთ იკითხვიდეთ, მამანო და ძმანო. —
ა. მთოვარისასა დღე ყოველ იკითხე.“

ბ. პირველსა უამსა იკითხე...“ გვ. 1—92.

2. [თეიმურაზ პირველი, იოსებზილიხანიანი]. —

„...ძებნა, ვერ პოვა, გაიჭრა, ხელი ნადირთა ერევა.

ვეფხსა უმგზავსის სიტურფე, დაბნდის და ცნობა ერევა...“ გვ. 93—151.

შენიშვნა: იოსებზილიხანიანი გამოცემულია ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას მიერ. გამოცემასთან შედარებით ტექსტს დასაწყისში აკლავს პირველი ათი სტროფი, 128—136 სტროფები.

3. „ქარი პირველი. ლეილმაჯნუნის ანბავი სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები ღვთივ გვირგვინოსანის კელმწიფის მეფის თეიმურაზისაგან და ლექსად მისგან თქმული, სუფევით ყოს უფალმან უკუნითა უკუნისამდე. ანინ. —

ღმერთო, რომელი თვით სიბრძნით ხარ სიბრძნის მომცემელობით.

არსისა, არა არსისა სიტყვით დამბადე მქნელობით...“ გვ. 151—207.

შენიშვნა: ტექსტი მიყვება გამოცემას, თუმცა ზოგიერთი სტროფი (266—270) აკლია. იხ. თეიმურაზ პირველის დასახ. გამოცემა, გვ. 24—59.

4. [ჩახრუხაძე, თამარიანი]. — „ქება მეფის თამარისა ჩახრუხაძისაგან.

მო ფილასოფნო, სიტყვითა არსნო. თამარს ვაქებდეთ გულისკმეირსა, დიონოსისგან, ვით ენოსისგან, სრულნი ქებანი ამ ძლეთ ძლიერსა...“

გვ. 208—228.

შენიშვნები: 1. ხელნაწერში 111 სტროფია.

2. ხელნაწერი დაედო საფუძვლად „თამარიანის“ ივ. ლოლაშვილის ეულ გამოცემას; ხელნაწერი გამოცემაში აღნიშნულია A ლიტერით (იხ. ძველი ქართველი მეპოეტენი, I, ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარისა, თბილისი. 1957 წ.).

5. [ლექსი]. — „ჟმა მოგვესმა წერილთაგან ტირილისა არამათით, ოხვრად იქმნეს რაქაელნი წულთა სვრითა არამათით...“

გვ. 229—230.

6. [იაკობ შემოქმედელი]. — „მოთხრობა და სიტყვის-გება მცირე რამე შემოკლებით უღთოს მოჰამედისა. —

ჟამთა ერეკლე მეფისთა გამოჩნდა ქელბაშ მოჰამედ, უღთო, ურჯულო, ურწმუნო. წვალეზას მეტად მოჰამედ...“

გვ. 230—284.

7. [თეიმურაზ პირველი, გაბაასება გაზაფხულისა და შემოდგომისა]. „კიდევ ბატონის მეფისა. —

მე ვიყავ უცხოთ ღარიბად. რაჭა ჰქვიან თუ აგარა,

იგ რამდენ გვარად სოფელმან გული ცეცხლითა დაგარა...“

გვ. 285—290.

შენიშვნები: 1. ტექსტი წარმოადგენს „გაბაასების“ ბოლოსიტყვაობას. მიყვება გამოცემულ ტექსტს, სამი სტროფით მეტს იძლევა ხელნაწერი.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს წიგნში „Описание рукописей“, II, გვ. 311—314 და ივ. ლოლაშვილს წიგნში „ძველი ქართველი მეპოეტენი“, I, ჩახრუხაძე, ქება თამარ მეფისა, 1957 წ. გვ. 29.

შინაწერები: 1. „ამ ხელნაწერში მოთავსებულია შემდეგი: მაჰმადიანთ სიტყვის გება ლექსად იაკობ შემოქმედელისა, დუმბაძესი გვარად,

XVIII საუკ. ჩახრუხაძის ლექსი, ლელიანი, მშვენიერი იოსები და მრავალიც სხვა“ (გვ. 5).

2. გვ. 291 არის უმნიშვნელო მინაწერები.

(1179)

2776

ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი, მიჯნურთ ბადე. XIX

17 ფ.; 17,5×21,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; დაზიანებულია: ფ. 11, 12, 15, 16, 17; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 17v; შემოწირულია კონსტანტინე თავართქილაძის მიერ.

[ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი]. „მიჯნურთ ბადე. — ახლა გამოვჩნდი, დამერქო სახელად მიჯნურთ ბადეა, გულ დაკოდილთა აშიყთა, სალხენად დავიბადეა...“ 1r—17v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერთა ერთ ნაწილში სტროფთა თანმიმდევრობა S—1511-თან შედარებით არეულია. სტროფების თანმიმდევრობა ასეთია:

ა. „ერთი მორბოდა ჯერანი, ლიკლიკა მაღლა მხტომელი...“

ბ. „ვნახე უცხო შავი თვალი...“

გ. „მოსთქვამდი: ნეტარ რათ მოვკვალ...“

დ. „ვამ, საყვარელო, დამკარგე...“

ე. „ვამ, ბროლის ყელო გაშლილო...“

ვ. „ოქროვ, პაწაწავ, ნარინჯო...“

ზ. „გული, გონება მიმილო...“

თ. „მუნ იყო ვინმე ქაბუკი...“

ი. „თვარამეტის წლისა შეიქნა...“

კ. „მისთა უფროსთ ტკბილად უჩნდა...“

ლ. „აქა ფრანვისტან ქაბუკისაგან ჯეირანის სიკვდილი...“

მ. „გიშრის ტბაო, გავსილო...“

2. S—1511-თან შედარებით ხელნაწერი გამოკრებილია, აკლია სტროფები.

3. ტექსტი დაბეჭდილია შემოკლებით (იხ. „ანთოლოგია“, ტ. II, 1928 წ.).

4. 17r-ზე არის ორი სტროქონი სხვა ლექსიდან:

„რა აქლემი ცასა ზომდეს, ზაქმა სიბრძნე იჩინოსა,

ვირი მღერდეს, მგელი მღვდლობდეს, დათვი მოძღვრად იღვიოსა...“

(1180)

2777

ბაასი ხუთთა ფრანციელთ ფილოსოფოსთა და ხელმწიფის ძის რიფიმონისა
ხელმწიფე ზაბისორის წინაშე. XIX
(ფრაგმენტი)

4 ფ.; 33,5×21,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; დალაქავებული; მხედრული; შავი მელანი; შიგადაშიგ სინჯურა; [XIX ს.]; შემოწირულია კონსტანტინე თავართქილაძისაგან.

[ბაასი ხუთთა ფრანციელთ ფილოსოფოსთა და ხელმწიფის ძის რიფიმონისა ხელმწიფე ზაბისორის წინაშე]. — „...კარი მეორე. ფრანციის ჯელმწიფისა. ზაბისორის წინაშე ხუთთა ფილოსოფოსთაგან ძისა ჯელმწიფისა რიფიმონისაგან. მეორესა დღესა რა დილა გათენდა, მივიდნენ ყოველნი ჯელმწიფისა წინაშე...“ 1r.

წყდება: „...აქა დასრულდა კარი პირველი(?) ფრანციელთ ერთის დღის ბაასი ყრმათა ქარისა სიძლიარესა(!), სიძლიერესა ზედა ხუთთა ფილოსოფოს-

თავან და ძისა კელმწიფისა რიფონისაგან ზაბიასორ კელმწიფეთ კელმწიფის წინაშე..." 4v.

შენიშვნა: სათაური აღებულია მეორე კარის სათაურიდან. შდრ. დ. კარიკაშვილის მიერ შედგენილი კატალოგი ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ-საცავისა, 1904 წ., გვ. 99.

(1181)

2778

ზალუმჯანიანი. XIX

23 ფ.; 35×22; ქაღალდი, მოლურჯო; უყდო; დაშლილი: დაზიანებული; თავ-ბოლო ნაკლები; ფურცლები დალაქავებული: მხედრული; [XIX ს.]; ჰვირნიშანი 1808 წ.; შემოწირულია კონსტანტინე თავართქილაძის მიერ.

[ზ ა ლ უ მ ჯ ა ნ ი ა ნ ი.] — „...მორუმ დიდებით ცხოვრება და მოქალაქეობა კელმწიფისა ფირმალისა და ძისა მისისა აბულაყისათვის...“ 1r.

წყ დ ე ბ ა: „...დიდებულნი კელმწიფისანი მოეგებდეს და ამბავსა ზალმოვანისასა ჰკითხვიდეს და მისსა...“ 23v.

შენიშვნა: ხელნაწერში დევს პროფ. ალ. ბარამიძის ცნობა: „ზალუმჯანიანი. XIX ს. დასაწყისისა. [ფილიგრანი 1808]. წ. კ. № 2778“.

(1182)

2779

სულიერნი თხრობანი. XIX

79 ფ.; 23×18; ქაღალდი; ლურჯი; უყდო; დაშლილი; თავ-ბოლონაკლები; დასაწყისში უკლია ორი ფურცელი; დაზიანებული; მხედრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; [XIX ს.]; შემოწირულია კონსტანტინე თავართქილაძის მიერ.

[ს უ ლ ი ე რ ნ ი თ ხ რ ო ბ ა ნ ი.] — „...ცხადად აღხდა სართული სახლისამის და აღიტაცეს ზეცად მღვდელი იგი და კაცისა ცოდვა მიეტევნეს, ხოლო მღვდლისა მის ღონ უწყის და არა სხვათა...“ 1r.

წყ დ ე ბ ა: „... კაცის მაღლი და მალი ეს არის, რომელი შეკრა ქვეყანაზედ კაცი. შეკრულ არს ცათა შინა და რომელიც განხსნათ, ქსნილ არს ცათა შინა — ესე ეთქვა და უჩინო...“ 79v.

შენიშვნები: 1. თხზულება შედგება 70 თავისაგან.

2. თითოეულ თავში ზოგჯერ რამდენიმე იგავია, რომელთა სათვალავი მიწერილია ფურცლის კიდურზე.

(1183)

2780

იონა ხელაშვილი, კატეხიზმო. XIX

115 ფ.; 17,5×20,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა, შემოცილილი; დაშლილი; მხედრული; დასაწყისი ასოები მთავრულად; [XIX ს.]; შექმნილია გამრეკელისაგან.

[იონა ხელაშვილი. შემოკლებული კატეხიზმო.] — „შემოკლებული კატეხიზმო მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა ძეთა და ასულთა, ენისა აღმოდგმისა დროთავე შინა გაზეპირებად სიმოკლო(!) სარწმუნოებისა და სჯულისა ათთა მცნებათა და ლოცუათა საფუძელისა საუფლო მამია ჩუნიონისა(!).“

ნაწილი პირუელი კატეხიზმოსა, თავებთ-მეტყუელება, ესე იგი სარჩევით საძიებელი მეტყუელება სარწმუნოებისათვის კატეხიზმოსა. თავი მოკლესიტყუაობით აღმოჩენა კატეხიზმოდ(!), რომელ ფუძე სარწმუნოება, სასოება და სიყუარულია.

კ: რაასა არს კატეხიზმო? მ: ელლინ-ბერძულ რთული ლექსია, ხოლო ქართულ სწავლა სარწმუნოებისა...“ 12r—111r.

შენიშვნები: 1) „კატეხიზმოს“ წინ უძღვის „ეპისტოლე მიწერილი უფლისა დოდაევისა მიმართ სოლომონ იოანეს ძისად, წელსა 1824, თთუჭსა აპრილსა 12, დღესა სამშაბათსა, ს. პ. იონა ხუცეს-მონაზონისა მოძღვრისაგან“ (1r—11v).

2) ერთის ა) ს იამბიკო, „თქმული მეფის ძის იოანესაგან, წინასიტყუაობა“ (112r—113r).

ბ) „მეფის ირაკლის ძის მირიანისაგან იამბიკონი“ (113r).

გ) „თქმული პეტრე ლარაძესაგან“ (113r—v).

3) ერთის იონას(?) წიგნების ნუსხა:

ა) „ღმრთის მეტყუელება სამ ნაწილადი.

ბ) ქადაგება კურიაკეთა და დღესასწაულებთა.

გ) კატეხიზმო ვრცელი.

დ) მეორე მცირე კატეხიზმო.

ე) ხოლო მესამე კატეხიზმო დიდი

ვ) მოსეს ხუთის წიგნის განმარტება.

ზ) ისონავესი და მეფეთი(!) განმარტება.

შ) იოზის წიგნის განმარტება.

თ) იგავის განმარტება სამი წიგნითურთ.

ი) ისო ზირაქის წიგნის განმარტება.

ია) ათ თექსმეტთა წინასწარმეტყუელთა წიგნის განმარტება.

იბ) ასოთა და გჯამთა განმარტების წიგნი.

იგ) აღძაჟტა, ანბანზედ ასხმული წიგნი.

იდ) ათი მცნების და ცხრა ნეტარების წიგნი.

იე) მეფის ძის იოანეს ოცდა ათოთხმეტი შეკითხვის წიგნი.

ივ) ღმრთისა სიყუარულეს წიგნი.

იზ) ქართულსა ენასა ზედა წირვა-ლოცვის მოსმენის წიგნი.

იშ) წიგნი ორ ენა კაცის აკრძალვისა.

ით) იოანა მოხუცებულის წიგნი.

კ) წიგნი წყულებისა (ესე იგი ხოლერისა).

კა) წიგნი ამაოებისა.

კბ) წიგნი ქორწინებისა.

კგ) წიგნი ნაშთთა განმარტებისა.

კდ) წიგნი უბრწუნელის საზრდელისა.

კე) იფქელ-ლუარძლის განმარტების წიგნი,

რომელ არს იფქელი ცხონებულნი კაცნი, ხოლო ღუარძლი არს წარწყმედილნი კაცნი.

კვ) კაცის ცნობის წიგნი.

კზ) არავინ წინასწარმეტყუელი შეწყნარებულ არს წიგნი.

კშ) ლექსიკონი, შავთ დაწერილი, უვრცელესი.

კთ) სიბრძნის პოენის წიგნი.

ლ) ქრისტეს მოყუარის მკედრობისა წიგნი.

ლა) მელქისადეკის მღუდელობის განმარტების წიგნი.

ლბ) საღოთო ლოცუვის ძალის ცნობა და სასწაულებისა“ (113v—115r).

3) გაურკვეველი ხელით არის მინაწერები (ლექსი?) 11v-ზე და 111v. ამ უკანასკნელზე არის ლექსის ბეჭედი.

მინაწერები: 1. „ეს კატეხიზი(!) გარდმოწერა იოანე, ძმისწულმან ჩემმან ნამდვილითგან, გარნა გამოუცდელობისა გამო არა არს ესრეთ გარდმოღებულ, ვითარცა ღრამბატიკოსნი გარდმოსტყდრენ, წესიერ ასო მთავრულებითა და პროსოტიათა... (ამოჭრილია მრგვალად) ...ნიერებითა.

ესერა ზემოხსენებული იოანე დიდ..... მოსწრაფებითა, რომელი ეშურება სწავლათა ამად დავშეე.....ად ორგზის, გარნა ვგონებ ჭვალადცა დამიშონენ უნებლიეთ..... ვინც იხილოთ, თვთ გამართელ სწავლულთა, კვილ მნებებელი..... წელსა 1834, თთუშსა აპრილსა 5“ (111r).

2. „სოლომონ რაზმაძე. წელს 1830-ს“ (113v).

3. „ეს წიგნი ეკუთვნის დავითს ხელეცს(?), ვინც მოიპაროს, გაუწყრეს წმინდა გიორგი, ანუ ღმერთი. ამინ. დავსწერე მე — აბრაამ ივანიაძე, ვინც წაივითხო...“ (ზედა ყდის შიდა მხარე).

4. აქვე არის სხვა მინაწერებიც, რომლებიც არ იკითხება.

(1184)

2781

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. 1836.

250 გვ.; 34,5X22; ქაღალდი; მუყაოს ყდა; დაშლილი; პირველი გვერდი დაზიანებული; მხედრული; შავი მელანი, სათაურები სინგური; გადაწერი: ჯვარის მამის მდივანი გიორგი მიქეროვეცი; 1836 წლის 28 აგვისტო. (გვ. 259) დაუწერელია: გვ. 250; შექმნილია გამრეყელისაგან.

[შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი]. „შესავალი პირველი ვეფხისტყაოსანისა, ამა ამბისა. და პირველ ამო და სასმენელად შევნიერო სწავლისათვის ...ასა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, რომელსა ვეფხიტყაოსნობით უხმობენ, —

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა...“ გვ. 1—230.

შენიშვნები: 1) ტექსტს ერთვის: ა) „საძიებელი წიგნისა ამისა ვეფხისტყაოსანისა“, გვ. 230—232. ბ) „ლექსიკონი ამა წიგნსა შინა წერილთა ძნელთა ლექსთა თარგმანი საცნობელად ლექსთასა“ (გვ. 232—248).

ლექსიკონს ერთვის: „განმარტება ლექსთა(!) ამათ, რომელნიცა უხმარნია ბრძენსა მას შოთა რუსთაველსა თვისსა ამა შრომილსა ვეფხისტყაოსანსა შინა, რომელნიცა ვითთავანმე მძიმედ საცნობელ და მისახლომ იქმნებიან, ამისთვის აქა ანბანსა ზედა ასხმულნი არიან ლექსნი იგი მისგანვე განმარტებითა თვისთა მხილველთაგან ადვილ მისახლომელად, ხოლო მრავალთა უწყიან და არად სახმარ არს მათთვის განმარტება ლექსთა და ესე შრომა დაშთების, რომელთაცა სახმარ ექმნების, ესრედ ეწერა უძველესსა და ძნელად აღმოსაცნობელსა დედანსა შინა“ (გვ. 248).

2. ხელნაწერი არტანუჯული რედაქციისა (შდრ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბილისი, 1957 წ., გვ. 65).

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს წიგნში „Описание“, II, გვ. 558.

მინაწერები: 1. „ეს ხელნაწერი და № 1586 ერთნაირებია“ (ზედა ყდის შიდა მხარე).

2. „სრულ იქმნა დიდება ღმერთსა ყოველთა კეთილთა მიზეზსა დამბადსა. თუმცა იყუნეს წიგნი ვეფხისტყაოსნობით ხმობილნი საქართველოსა შინა დაბეჭდილნი და ჯელ-ნაწერილნიცა, გარნა ფრიად განრყუნებო და არად საზმარნი, ამისთვის მიცემოდა გულს-მოდგინება თავადს სტატსკის სოვეტნიკს და კვალერს თუმანოვს გიორგის ეგნატის ძეს და მოეპოვა უძველესი ნაწერი ვეფხისტყაოსანი: კერძოთა არტანუჯისათა და ესე მე მუნითგან გარდ-მოესწერე მრავლითა შრომითა და ლუაწლისა დადებითა ჯვარის მამის მდივანმა გიორგი შიქეროვეჯისათა. აღიწერა ესე თვესა აგვისტოსა კმ-სა დღესა, ჩუღუ-სა წელსა“ (გვ. 249).
3. „რაცა თავსა უწერია, კაცსა იგი გარდახდების, ცა, ქუეყანა დაირღვევის, და ლუთის ბრძანება არა სადა წარხდების, ჯელი მშრომელთა მიწოდების და ნაშრომი შეების, შრომილი ესე ვეფხისტყაოსანი, რომელთაცა ეკუთვნის ღმრთი კეთილად მოაზმაროს, ამინ“ (გვ. 249).
4. „1881 წელსა იანვრის 12 დღეს“ (გვ. 249).

X(1185)

2782

სწავლანი სამეცნიერონი (აპოვთემატა). 1853

55 ფ.; 36×21,5; ქალაღი; უყდო; მხედრული, შავი მელანი, სათაურები სინგურით; გა-დამწერი: კონსტანტინე ევსტატის ძე ჯორჯაძე; 1853 წ. (50v); დაუწერელია 55v; შექენილია გამრეკელისაგან.

„სიტყვეანი და სწავლანი სამეცნიერონი ფრიად მარგებელი სულ-სხეულობით ორკერძოვე, ძველისა და ახლისა წმინდითა წერილთაგან რჩევით გამოკრებული: კლემაქსისაგან, დიდისა ბასილისა და გრიგოლ ღვთისმეტყველისა, და იოანე ოქროპირისა, და ძამისა ეფრემისა, და მაქსიმესი, და ცხოვრებათაგან მამათასა და სხვათა წმიდათა მღვდელმოდვართა, მამათა, მოციქულ წინასწარმეტყველთა, სოლომონ და ზირაქისა, და გარეშე წიგნთა პლატონ და სოკრატე, და მენიანდროს და სხვათა ფილასოფოსთა მიერ თქმული კლემაქსისაგან. —

ყოველთა, რომელთა ენებოს და ეძიებდენ ღმერთსა, ეპოების მათ, რამეთუ იგი არს ყოველთა ღმერთი და ყოველთა ცხოვრება...“ 1r—50v.

შენიშვნები: 1. განსხვავებული ხელით 51r—55r არის მიწერილი „კითხვა-მიგება წმინდისა ვასილისა და გრიგოლისა, გვაკურთხენ მამაო“.

2. ამავე განსხვავებული ხელით 50v-ზე არის უმნიშვნელო მინაწერი.

3. ვის მიერ არის თარგმნილი „სწავლანი სამეცნიერონი“, ცნობილი არ არის. თარგმანი შესრულებული უნდა იყოს მოსკოვში ბაქარის თანამედროვეთა წრეში. იხ. ლ. ძოწენიძე, რუსული აპოვთემატას ქართული რედაქციები, 1959, გვ. 26.

ანდერძი: „შევასრულე ესე წიგნი წელსა 1853, ივლისის 3 დღესა, თნა კონსტანტინე ევსტატის ძემ ჯორჯაძემ“. (50v).

(1186)

2783

პლატონ ლევშინი. ბოროტთა ანგელოსთათვის. 1826

28 ფ.; 21,5×16; ქალაღი; მეყაოს ყდა; წყლის საღებავებით უგემურად მოხატული; მხედრული, სათაურები და დასაწყისი ასოები მთავრულად; მთარგმნელი გაიოზ რექტორი (28r); ვადამწერი: უღირსი ბერი დიონისი (28r); 1826 წ. (28r); დაუწერელია: 27r—v და 28v; შექმნილია გამრეკელისაგან.

პლატონ ლევშინი. — „მუკლი მესამე. თვის ბოროტთა ანგელოსთათვის. — კ 76: აწ შეგვდგეს ჩუჴნ წინადადებად რაჴსამე ბოროტთა ანგელოსთათვის, რომელთა თვისცა უფროსლა ესენი არიან უმთავრესნი კითხუანი, რომელნიცა ითხოვენ სჯასა...“ 1r—26v.

შენიშვნები: 1. თხზულება თარგმნილია გაიოზ რექტორის მიერ 1792 წ. იასაში (იხ. A. Цагарели, Сведения, III. გვ. LV).

2. ავტორი აღდგენილია ტრ. რუხაძის მიხედვით (იხ. ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., 1960 წ., გვ. 224).

შინაწერები: 1. „აღმწერი ამის წიგნის ითხოვს წარმოკითხულთაგან ცთომისა მოტევებასა, 1826, უღირსი ბერი დიონისი“. (28r).

2. „თარგმნილ არს კრემენჩუკს არქიერისა გაიოზის მიერ“ (28r).

1. „Сня книга принадлежит иеромонаху Дионисию Жандиерову(?)“ (უკანა ყდის შიდა მხარეს).

4. „ესე წიგნი არის იერომონახის დიონისისა კელითა თვისთა აღწერილი“ (ყდაზე ზემოდან).

(1187)

2784

ანტონ I, გრამატიკა. 1830

96 ფ.; 29,5×20,5; ქალაღი (თეთრი, მოლურჯო); ტყავავადაკრული ხის ყდა; ბოლონაკლული; მხედრული, შავი მულანი, სათაურები მთავრულად და სინგურით; ვადამწერი: იერომონახი ფილადელფოს (კიენაძე?); ვადაწერილია 1830 წ. (1v); დაუწერელია: 3v, 94v, 95r—v, 96r; შექმნილია გამრეკელისაგან.

„თვის კელოვნებისა ღრამატიკოსობითისა, ნაწილი პირუჭლი, რომელსა შინა მარტივად მდებარე არიან თითოეულნი ნაწილნი სიტყუათანი მაგალითებითურთ, რომელნიცა ჴეპირებად სათანადო არიან ღრამატიკასა მოწაფე ქმნილითა. თავი პირუჭლი. ბრუნუათათვის სახელთასა, § 1. — ჩიცხუსა შორის ჩუჴნ მიერ განსჯითა შემოყუანილნი ბრუნუანი სახელთანი არიან რუა მარტივასა ანუ ჰრთულისანი. მაგალითი: მარიამ, მარიამისა, მარიამნი, ანუ მარიამებნი, მარიამებისა, მარიამებითა...“ 6r.

წყდება „...ძირი არს ჴმნისა სახელ-ჴმნა ესე მავალ, ვჴკუშთთ, ჴკუშთთ; და მესაძესა ენ მარტული, მავალ, ჴკუშთენ...“ 94r.

შენიშვნები: 1. თხზულება ვრცელი რედაქციისა.

2. თხზულება გამოცემულია 1885 წელს რაფ. ერისთავის რედაქციით. ხელნაწერი მისდევს გამოცემას. წყდება გამოცემის 174 გვ-ზე, თავი 18, § 261.

3. თხზულებას წინ უძღვის ანტონის წინასიტყვაობა და პინაქსი. (იხ. გამოცემაში გვ. 1—4).

4. ხელნაწერს წინ უძღვის თავფურცელი ანტონისათვის დამახასიათებელი ბიბლიოგრაფიული ცნობით: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ.“

საღიდებლად ცხოველს-მყოფელისა თანა არსისა დი განუყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა.

ანტონის მიერ არხიებისკომოსისა ყოვლისა ზემოისა საქართველოსა, დავითიან ბაგრატიანისა ახლად ქმნილი წიგნი ღრამმატიკაჲ ქართულისამებრ ენისა. დროსა უყეთილმსახურებისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა, მეფისა ყოვლისა საქართველოსისა და მამათმთავრობისა თვისისათა ყოველთა ქართულთა ზედა.

წელსა დასაბამიჲან სოფლისა... 7275.

„ხოლო განხორციელებითჲან სიტყვისა ღვთისა... 1767 თთულსა მეთათრამეტესა, რიცხვისა 20“ (1r).

5. ხელნაწერზე არის უმნიშვნელო მინაწერები.

ანდერძი (გადამწერისა): „წიგნი ესე ქართული ღრამმატიკაჲ აღწერილი ჩემ მიერ დროსა სწავლისა ჩემისასა. აწ სურვილისამებრ მისისა მიმირთმევეს მიხეზად სარგებლობისა კეთილ-ზნინისა მოწადისა მეოთხის კლასასა რიტორებისა სვიმონ შიშნევისათვის. მივართვი ამისთვის, ვინათჲან იბოგების მის შორის სურვილი სწავლისადმი ქართულისა სიტყვიერებისა, რომელსაცა ჯეოს ვაწერ იერომონახი ძილაღელქოს. 1830-სა წელს, ზ=28-სა“ (1v).

2. „ესე მცირე ნაჩხაბი წიგნი ღრამმატიკა ვინც იქონიოთ, თუ ამის შემწყობის მაღლი გვაშდესთ. გთხოვთ შრომა მიიღოთ და შეასრულოთ. მე ამის მეტი დრო არ მომეცა. ძილაღელქოს“ (94r. მინაწერი გაკეთებულია იქ, სადაც ტექსტი წყდება).

(1188)

2785

კრებული. XVII—XVIII

222 ფ.; 21X31; ქაღალდი; ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა; ნაკლული; ფურცლები დაზიანებული; რესტავირებულია XIX საუკუნე დასაწყისში; მხედრული, შავი მელანი, სათაურები და დასაწყისი ასოები სინურით: [XVII—XVIII საუკუნე]; გადმწერილია მეფე გიორგი XI დაკვეთით; დაუწერელია: 30r—v, 32r—v; შეძენილია გამრეკელისაგან.

1. [გრიგოლნოსელი. კაცისა შესაქმისათვის]. — „ბუნებისათვის ქუეყანისა ერთნაწილად და გამოცხადება წვლილად, რომელი დაებადნეს უწინარეს კაცისა. — თქუვა წიგნმან ესე, არამედ შესაქმისი ცისა და ქუეყანისა...“ 2v—70r.

შენიშვნები: 1. 14r-ზე მოცემულია „სქიმა ნაკუჭით პორფირიოსისგანი ცნობისა“.

2. 166 და 167 პარაგრაფები გადასმულია.

3. ამავე ნაწარმოებს შეიცავს ხელნაწერი A-233. A-233-თან შედარებით S-3031 იწყება 13r-დან და წყდება 71v-ზე. ხელნაწერს აკლია 24v-სა და 25r-ს, აგრეთვე 38v-სა და 39r-ს შორის.

მინაწერი: „№ 41 წიგნი ესე ეკუთვნის იოელ ალექსიევს...“ (1r).

3032

ბერძნული საგალობელი.

გადატანილია გრ ფონდში № 24.

(1259)

3033

კრებული. XIX

8 ფ.: 21,5×18; ქალაღი: უყდო; დაშლილი; მხედრული; ჩამოხეულია მე-8 ფურცლის ქვედა ნახევარი; დაუწერელია 8v; [XIX]; აქვს ჳვირნიშანი (7r).

1. „აღწერა უჩინებულესთა ერთა ევროპიისათა. — ნე-
შეცნი, ფრანციცნი, იტალიანელნი, ლიშპანელნი, ინგლისნი...“ 1r—v.

შენიშვნა: ამ ერთა დახასიათება მოცემულია ცხრილში, რომელსაც 13 დანა-
ყოფი აქვს: ქეცვასა შინა, ტანადობასა შინა, სამოსელსა შინა, საზრდელსა შინა,
ზნესა შინა, სახესა შინა, რჩევასა შინა, წერასა შინა, სჯულსა შინა, წინამძღუ-
ობასა შინა, სამსახურის ჩუშნებასა შინა, ქორწინებასა შინა, დედაკაცი. ცხრა-
ლის შემდეგ დამატებით მოცემულია პოლანდიელთა და ევროპის მთავარ ერ-
თა დახასიათება.

2. „ღირსსახსოვარნი სიტყუანი. — ოთხნი ნიეთნი არიან უკ-
მოუქცეველნი ანუ დაუბრუნებელნი, ესე იგი: სიყმაწვილე, დროჲ, ნათქუამი
სიტყუა და ქალწულება...“ 1v—2v.

3. „უბნობაჲ შორის მწიგნობარისა და ყმაწვილისა. —
ყრმა ერთი დასეირნობდა მდინარისა პირსა ზედა და შემოეყარა მის მწიგნო-
ბარი ფრიად ჩაფიქრებული...“ 2v—5r.

4. „რომელნიმე შესწავაებანი დედაკაცთა თჳს და ქორ-
წინებთა თჳს. — დედაკაცთა სილამაზესა შეადგენენ: ახალ-მოჰასაკეობა,
საშუალ-ტანადობა, კანონიერ-დაწყობილება ყოველთა ნაწილთა სხეულისა-
თა...“ 5v—8r.

შენიშვნები: 1. ტექსტის ნაწილი (1r—3v) ნაწორებია სხვა ხელით.

2. ამავე შინაარსისა ხელნაწერი H—1098, რომელიც აღწერილის, ქრ. შა-
რაშიძის, აზრით რუსულიდან ნათარგმნი ჩანს (იხ. H კოლექციის ხელნაწერთა
აღწერილობა, ტ. III, 1948, გვ. 82).

(1260)

3034

ეგნატე იოსელიანი, თბილისის ეკლესიათა აღწერა. 1837

18 ფ.; 36×22,5; 34×21,5; ქალაღი; უყდო; მხედრული; [ეგნატე იოსელიანი]; 1837 წ.
(1r); ჰვირნიშანი: 1836 წ. (ფ. 18); დაუწერელია: 5v—6v, 7v—12r, 16v, 17v—18v.

[ეგნატე იოსელიანი], „წელსა ჩყლზ-სა აპრილის თვეის
...-სა დღესა აღწერა სამსხავე ნაწილსა ტფილისსა, ავლა-
ბარსა და გარეთ უბანსა შინა მყოფთა ბერძენ-როსისი-
ქართველთ ეკკლესიათა, რომელნიცა არიან რიცხვით
... — უპირველესი ტფილისსა შინა არის დიდი ეკკლესია გუმბათიანი სიონად
წოდებული...“ 1r—16r.

შენიშვნები: 1. ხელნაწერის შედგენილობა: ა. აღწერა სამსავე ნაწილსა
ტფილისსა, ავლაბარსა და გარეთუბანსა შინა ბერძენ-როსისი-ქართველთ ეკკლ-
სიათა, რომელნიცა არიან რიცხვით...“ (1r—5r). ბ. „აღწერა ტფილისის თემ-
თა და უეზლთა შინა მყოფთა საეკკლესიოთა ჩვენებათა“ (7r). გ. „აღწერა ტფი-
ლისსა შინა მდგომარეთა ჰაოსთა სარწმუნოებებისა ეკკლესიადთა, რომელნიცა
არიან რიცხვით 22-ნი“ (12v—16r).

2. ეკლესიათა აღწერის ავტორძს შესახებ იხ. ც. ჰანკიევი, ეგნატე იოსე-
ლიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის, ხელნაწერთა ინსტი-
ტუტის მოამბე, V, თბილისი, 1963 წ., გვ. 57—66.

3. გამოქვეყნებულია ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ (ჩვენი მეცნიერება,
№ 1, 1923 წ., გვ. 81—96).

3035

პლ. იოსელიანი, გრამატიკა (ფრაგმენტები).

გადატანილია პლ. იოსელიანის არქივში № 37. 38.

(1261)

3036

ალაპიტ დიაკონი, სამეფო ტომარი. XIX

47 ფ.; 22×18; 35×22; ქალაღი; სხვადასხვა; უყდო; მხედრული, სათაურები და საზე-
დაო ასოები მთავრულით: [XIX ს.]; კვირნიშანი: 1837 (6—7 ფ. ფ.); მთარგმნელი გაიოს (34v);
დაუწერელია: 1r—v, 35r—39v.

„სამეფო ტომარი. უსამლოდულოესა და უკეთილმსახურესა მე-
ფესსა(!) ჩუშნა იმპერატორსა იუსტინიანეს ალაპიტ უმცირესი დი-
აკონი კრძალულებით შრომასა ამას უძღვნი. თავი ა. ღმერთი არს ყოველთა მე-
ფობათა შემოქმედ, მყოფი უმაღლესსა ღირსებასა შინა. — ჟ იმპერატორო,
უმაღლეს ყოველთა ღირსებათა აღგიყვანა შენ ღმერთმან...“ 4r—34v.

შენიშვნები: 1. უძღვის: ა. მთარგმნელის გაიოზ რეკტორის მი-
მართვა ირაკლი მეფისადმი: „უმაღლესსა და უდიდებულესსა კეთილ-
მსახურსა წელმწიფესა მეფესა ირაკლის, მპყრობელსა ყოელისა ზემოასა
საქართუშლოსასა ომონებრიესი მოხსენება“ (2r—v). სრული ტექსტი იხ. HI
კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობაში, ტ. I, 1946, გვ. 56, ხელნაწერი № 79,
შენიშვნა ბ.

ბ. „უწყება წიგნისა ამის“ (3r—4r), მოცემულია ცნობები წიგნის ავტორის
ალაპიტ დიაკონის შესახებ.

2. ხელნაწერში ხშირად უ-ს ნაცვლად ნახმარია ო.

3. ხელნაწერს დართული აქვს „სამეფო ტომარის“ ლათინური ტექსტი
(40r—47v), რომელიც დაწერილია სხვა ფორმატის ქალაღზე (35×22) და ხელ-
ნაწერზე მიმაგრებულია კანაფით.

4. ამ ხელნაწერის შესახებ იხ. ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერა-
ტურული ურთიერთობის ისტორიიდან, XVII—XVIII სს., თბილისი, 1960,
გვ. 197.

(1262)

3037

ვახუშტი ბატონიშვილი, გივი თუმანიშვილი, საბარათაშვილოსა და სომხითის
აღწერა. 1721

ფ. 216; 33×22; ქალაღი; ხის ყდა, შემოსილი ტვიფრული ტყავით; მხედრული; სათაურ-
ები სინგურით; 1721 წ. (15v); ავტორადი მდივან-მწიგნობარ გივი თუმანიშვილისა (15r);
აქვს კვირნიშანი; დაუწერელია: 1r—4v, 5v—13v, 16r—17v, 26r—29v, 78.—79v, 81v—
85v, 97v, 123r—127v, 142v—143r, 171v—175v, 186v—187v, 215r—217r.

[საბარათაშვილოსა და სომხითის აღწერა]. — „არის საბა-
რათაშვილოში ბატონის მეფის სახასო დიდუბეს, მამასახლისი ბობოქაშვილი
ღვთისავარ, კომლი ა, თავი ბ...“ 18r—216v.

შენიშვნები: 1. „აღწერა“ შედგენილია ვახტანგ მეექვსის ბრძანებით,
ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუმანიშვილის მიერ (15r).

2. ხელნაწერი შედგება ორი ნაწილისაგან: საბარათაშვილოს აღწერა (181—171r) და სომხითის აღწერა (176r—214v).

3. მოსახლეობის აღწერას უძღვის წინასიტყვაობა: „ეჰა, რაბამ და ვითარ და რაოდენ ძნიად გამოსაკულეველ, მისაწთომელ და გამოსათარგმანებელ არიან გამოთქმა ძალ-ძლიარებისა შენისანი...“ 14r—15v, (იხ. ე. თაყაიშვილის გამოცემაში, გვ. 1—3).

4. საბარათაშვილოში სადედოფლო კომლების აღწერას უძღვის წინასიტყვაობა: „ეჰა, ყოველთა დაბადებულთა(!) ძეთა ადამისათა პირველ დედისა ევას ცთომილებსაგან ჟოჯონებით აღმოყუანებისა მიზეზო...“ (80r—81r), (იხ. ე. თაყაიშვილის გამოცემაში გვ. 97—99).

5. 5r-სა და 6r-ზე თხზული ასოებით წერია: „დედაო ღმრთისაო დედოფლო ქალწულო. ევედრე ძესა შენსა და უფალსა ჩვენსა იესოს, რათა მეფე ჩვენი ვახტანგ განაძლიეროს“.

6. 6r-ზე ნაბეჭდი წიგნიდან ამოჭრილი წმინდანის გამოსახულება დაწებებული, წითელ ქალღმშემოვლებული, ქვევით მინაწერი აქვს: „ამაღლა ღმერთი ღმერთთა და უფალი ხმითა საყვირისთა“. 1r-ზეც ჩანს დაწებებული სურათის ნაკვალევი.

7. გამოქვეყნებულია ექ. თაყაიშვილის მიერ (იხ. მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა, შედგენილი მეფის ვახუშტი ბატონიშვილის და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წ., თბილისი, 1907).

(1263)

3038

დოგმატიკურ-პოლემიკური კრებული. XIX

15 ფ.; 36X22: ქალღილი; ყდიანი, ახლად აკინძული; მკედრული, დასაწყისი ასოება მთავრულით; ნაკული; [XIX ს.].

1. „თვითთოეულად მოხსენება ვითარებისა სომეხთა ბოროტმადიდებლობისათა. — შეიწყნარებს უკუჭ ცთომასა უვალენტინიანესსა ეკკლესიად სომეხთა...“ 1r—6v.

2. „არს ჭვარცმულად შესმენილი იგი პირ მეოთხე; დასამხობელად უმადლოთა ერთბუნებიანთა, რომელნიცა შერევენ დღესასწაულთა საუფლოთა და ერთსა დღესა, რომელ არს იანვარს 6, აღასრულებენ დღესასწაულსა ხორციელად შობისა უფლისასა და დღესასწაულსა ნათლისღებისასა საუფლოსასა წინაღმდგომად ქეშმარიტებისა. — ნათესავთა უკვე და სახეთა და განუკვეთელთა ვითარებასა შეუდგა ეკკლესიი(!) ვალაშაპატისა...“ 7r—9v.

წყდება „...ნ. იტყვის იაკობ მტყუარ პოდღვარი სომეხთაგანი თითვეულთა ვემავიტუს თავსა შინა რ დღესასწაულთა ძლითსა შინა სიტყვასა...“.

3. „ვაჩვენებთ წინააღმდგომთა კრებისათა საზღვარსა, რომელსაცა არა შეიწყნარებენ, არამედ მყის სმენასა თანა გინებასა ჰყოფენ ჰურია ცნობილნი იგი. რათა იხილონ, თუ რა არს ცთომად ამა შინა, არიან ამას შინა მდებარენი ნაწილნი სიტყვათანი რ, თავი 22. საზღვარი წმიდისა ჭალკიდონის კრებისა. — უფალი ჩვენი და მაცხოვარი ქრისტე მეცნიერებასა სარწმუნოებისასა დაუმტკიცებდა რაა მოწაფეთა, ეტყვიდა: მშვიდობასა ჩემსა მოგცემ თქუჭნ...“ 10r—v.

შენიშვნა: ამოღებულია იოანე დამასკელის „გარდამოცემიდან“.

(შდრ. S—1463, 168v—169r).

17. ხელნაწერთა აღწერილობა: ტ. IV.

4. „გამოთქმა სარწმუნოებისა და წმიდათა სამასათე-
ვრამეტთა მამათა. — გვრწამს ერთისა ღვთისა მამისაჲ, ყოვლისა
მპყრობელისა, ყოველთა ხილულთა და უხილავთა შენმოქმედისა(!)..." 10v.

შენიშვნები: 1. ამოღებულია იოანე დამასკელის „გარდამოცემიდან“
(შდრ. S—1463, 169r).

2. ეს ტექსტი მეორდება ხელნაწერის 13r-ზეც.

5. „გამოთქმა სარწმუნოებისა წმიდათათა(!) მამათა
ასერგასისთა. — გურწამს ერთისა ღვთისა მამისაჲ, ყოვლისა მპყრობე-
ლისა, შემოქმედისა ცისა და ქვეყანისა, ხილულთა და ყოველთა და არახილულ-
თა..." 10v—11r.

შენიშვნა: ამოღებულია იოანე დამასკელის „გარდამოცემიდან“.
(შდრ. S—1463, 169r).

6. „ხალკიდონის წმიდამან და მსოფლიომან კრებამან
ათქვა. — კმა უკვე იყო სრულიადად(!) შესამცნებელად და დასამტკიცებ-
ლად კეთილმსახურებისა..." 11r—12r.

შენიშვნა: ამოღებულია იოანე დამასკელის „გარდამოცემიდან“
(შდრ. S—1463, 169r—v).

7. „ესე არს საზღვარი ხალკიდონისაი შეკრებულთა
630 მამათა ყოვლად წმიდისა სულიისა მრეკამოლთქმუ-
ლი(!), რომელსა არა შეიწყნარებენ უთაონო, გარნა იხილონ ყოვლად უბად-
რულთა მათ მწუნებელთა ჭეშმარიტებისათა ამას წიგნსა შინა მდებარი საზღვა-
რი ესე კრებისა, თუ რაჲ არს შეუწყნარებელ ამას შინა ხატი მადიდებელო-
ბისა. — არარაჲ თქვა ჭეშმარიტმან მას შეკრებულმან: არეშთა უბიწოთამან
ხარკიდონს, რომელნიცა შემოკრებეს(!) ახლად აღმოჩენილთა ვეშაბათვის..."
12r—v.

შენიშვნა: მოსდევს: „7. ვიხილეთ სხვაიცა წამებაჲ დღესასწაულთა
ჩუენთა ჭეშმარიტისა მისვე იაკბის(!) მუერ ტრთუხებიათთა ებსკაობისა..."

8. „[დასამქხოებლად უმადლოთა ერთბუნებიათა, თუ
რამასათვის ადიდეს ეკკლესიისაგან თუსისა საიდუმ-
ლოჲ მეშვიდე, ნე იგი არს ცხება უკანასკნელი. — მწყემსნი, რომელ-
თა აქუნდა შესახედავი ცხოვართა, განსრულნი მდინარესა ეკკლესისა(!) შო-
რის გამოშავალსა იცნეს რა მგელ მძეონარე, რომელნიცა იხილნა დღემან მნა-
თობმან ყოვლისა სოფლისამან გრიგორი მოწამემან..." 14r—15v.

წყდება: „მართალ არსა ცილისწამებაჲ შენი ანუ არა: გო უბადრუ-
კო..."

4039

გრამატიკული მასალა, დალაგებული ანბანის რიგზე.

გადატანილია ბლ. იოსელიანის არქივში № 40.

(1264)

8040

გეოგრაფიული (ანოტირებული) და ისტორიულ პირთა საძიებელი. XIX

ძ. ფ.; 35X21,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; სახედაო ასოები მთავრულით; თავბოლო-ნაკული; [XIX ს.]; ჰვირნიშანი: 1828 წ.

1. [საქართველოს ციხეები]. — „113. ობის ციხე...“ 1r—2r.

შენიშვნა: ციხეების ჩამოთვლას მოსდევს ავტორის შენიშვნა: „თუმცა არიან სხუანია ციხენი: მრავალი, უსახელოებისა გამო დაშპთენ რომელიმე და რომელნიმე იქმნება შემცდა, რომელ აქ ვერ მოვიხსენე, უკეთუ ვწადდესთ, აღწერასა შინა იძიეთ. და ვგრეთვე შემოხსენებულთა ციხეთა აღშენება, თუ ვინგან აღშენებულან, მუნ სცნობთ“ (2r).

2. „მდინარე ნი უდიდესნი, რომელნიმე უწინარესგან-ყოფილები სასაქართუშლოდსა არიან, ანუ რომელთა ჰქონან თევზნი, ანუ სახელნი რით ეწოდათ, აქვე მოიხსენებიან და ესე მდინარენი ანბანსა ზედან წერილან. — 1. ალგეთის მდინარე გამოსდის კლდეარსა და მოდის აღმოსავლეთად...“ 2r—3r.

3. „ხოლო რადენი ტბანი არიან დიდნი და მცირენი, თევზიანნი და უთევზონნი. — 1. აბოცის დაბის ტბა: მცირე, ახალქალაქის წყალი გამოზდის, უთევზო...“ 6v—7r.

შენიშვნები: 1. ციხეების, მდინარეებისა და ტბების სახელწოდებები ანბანის რიგზეა დალაგებული.

2. მდინარეებისა და ტბების დახასიათება აღებულია ვახუშტი ბატონიშვილის წიგნიდან: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბილისი, 1941, გვ. 33, 34, 46 და ა. შ.

4. „მეფენი საქართველოდსაანთ. — 1. ფარნავაზ“, 7r—8v.

შენიშვნები: 1. ქრონოლოგიური თანმიმდევრუბით ჩამოთვლილმ საქართვლოს მეფეები და მათი გამეფების წლები.

2. მოკლედ დახასიათებულია გიორგი XIII შემდგომი პერიოდი: „99. ვართგი უკანასკნელი — 1798; დავით მეშვიდრე — 1801; რუსთა გადაადგონეს და ეით და განსნეს მმართველობა დროებითი, სიდაცა ისხდნენ ლენერალ-მაიორი დაზარევი, თავადნი ზაალ ბარათოვი, იოანე ჩოლაყაევი, სულხან მდივენი თუმანოვი — 1801, ლუბერნა განსნეს 1802“ (8r).

5. „მეფენი და მთავარნი აფხაზეთ-იმერეთისანი. — 1. ლეონ“ 8v.

წყდებია: „ხოლო ნარინ დავითმა იწოდა იმერთა მეფობა და არლარჯ აფხაზეთა“.

8041

ქილილა და დამანა, (ფრაგმენტი).

შეუერთდა H—2183 ხელნაწერს.

3042

ღრამოტა მღუდელობისა, მიცემული კათალიკოსის ანტონ მეორისაგან
ეგნატე იოსელიანისადმი. 1810 წ.
გადატანილია Sd ფონდში № 2342.

(1265)

3046

სვეტიცხოვლის საგალობლები. XVII

16 ფ.; 16×11,5; ქალაღი; უყლო; ნუსხური; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ნაკული; [XVIII ს.]; კვირნიშანი: სამი მოვარე.

[სვეტიცხოვლის საგალობლები]. — „...ამას სვეტსა ცხოველსა, რომელსა უხილავად ანგელოსნი უპირობენ და უგალობენ და ადიდებენ...“ 1r—16v.

წყდება: „...წმიდათა მოწამეთა სასოებაო, ჟამად-ჟამად სახილველო ბრწყინვალეო...“.

შენიშვნა: ხელნაწერის შედგენილობა: ა. „გალობა პირველი სვეტისა ცხოველისა, სქლისპირი ბ გზის, დასდებელი ვ. სვეტო ნათლისაო, ბრწყინვალედ განათლებულო, განმანათლე მგალობელი დღესასწაულისა შენისა. გალობა ა, სქლისპირი“ (5v—6v).

ბ. „სხუაჲ გალობა მეორე სვეტის ცხოველისა, თქმული უფლასა ბესარიონ კათალიკოსისა, სქლისპირი ბ გზის, დასდებელი ვ“ (7r).

გ. „გალობა გ, სქლისპირი“ (8r—10r).

დ. „გალობა დ, სქლისპირი“ (10v—12r).

ე. „გალობა ე, სქლისპირი“ (12r—13v).

ვ. „გალობა ვ, სქლისპირი“ (13v—16v).

(1266)

3047 (Q—744)

ს.-ს. ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა. 1759

26 ფ.; 27×18,5; ქალაღი; უყლო; ფრაგმენტი; მხედრული, დასაწყისები სინგურით; დანიანებულია: 1, 2, 19—24 ფფ; გადაწვერი — მღველი გიორგი ალექსის ძე (26v); 1759 წ. (26v).

[ს.-ს. ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა]. — „...[რომე შიგან შესვლასაც არ აღირსებდნენ, არ თუ დაჯდომილიყო. მან კაცმან, [რა კაცი] ეგრე მჯდომი ნახა, ერთი მოსამსახურე კაცი შეუყენ[ა]...“ 1r—26v.

შენიშვნები: 1. S—3047 ხელნაწერი აღმოჩნდა ფრაგმენტი Q—744 ხელნაწერისა, ამიტომ ეს ორი ხელნაწერი გაერთიანდა.

2. „სიბრძნე სიცრუის“ ხელნაწერთა შორის ეს ხელნაწერი ყველაზე აღინდელი თარიღიანი ნუსხაა.

3. Q—744 ხელნაწერი 1942 წ. მუზეუმს გადმოსცა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა.

4. ხელნაწერის შედგენილობა: იწყება ზ რვეულის მე-2 ფურცლიდან (1r) და გრძელდება ი რვეულის მე-3 ფურცლამდე (18v), (შდრ. „ს.-ს. ორბელიანის სიბრძნე სიცრუისა“, 1957, თბილისი, გვ. 75—102). 18v-სა და 19r-ს შორის აკლია 1 ფ. 19r-დან იწყება ი რვეულის მე-5 ფ. და გრძელდება ი რვეულის

მე-2 ფ-მდე (24v), (შდრ. იქვე, გვ. 104—112). ი რვეულს მოსდევს იბ რვეული-დან შემორჩენილი მხოლოდ ბოლო ფურცელი (25r), (შდრ. იქვე, გვ. 142—144), ხოლო იბ რვეულს — „სიბრძნე სიტრუს“ ბოლო ფურცელი (26r), (შდრ. იქვე, გვ. 150).

5. ამ ხელნაწერის შესახებ იხ. დასახ. გამოცემა, გვ. 277.

6. 26v-ზე თხზული ასოებით წერია: „ფ ა რ ს ა დ ა ნ“.

ანდერძი (გადამწერისა) მიწერილია არაკალიგრაფიული ხელით: „უქმად მაშვრალი დეკანოზის ალექსის ძე, გლახაკი უღირსი მღვდელი გიორგი, ყოველთა უკანასკნელი, მღვდელად არა ღირსი. უფალნო ჩემნო, ნუ გამიწყრებით მოცალეობისა ამისთვის. მაისს ე, ქორონიკონს უმჟ“ (26v).

მინაწერები: 26r-ზე გაკეთებულია მინაწერები.

(1267)

3048

მოქცევა მირიან მეფისა. XVII

7 ფ.; 22×17; ქალღდი; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული, სახედაო ასოები მთავრულით, სინგურით; ფრაგმენტი; [XVII ს.]; კვირნიშანი: ირემი, ზევით გვირგვინი, ასოები P, Q, C, R, [17]81 წ. (ფ. 3, 4).

„მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუჴნისა ნინა მოციქულისა მიერ. — პირველად უკვე ვახსენოთ ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუჴნისა და ყოვლისა ქართლისა განმანათლებელისა ნინა მოციქულისა...“ 1r—7v.

წყდება „...ხოლო იგი დაეცა პირთა ზედა თვისთა...“.

შენიშვნები: 1. ტექსტი მცირეოდენი განსხვავებით მოსდევს საბინისის მიერ გამოქვეყნებულ „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუჴნისა ნინა მოციქულისა მიერ“ (შდრ. საბინისი, საქართველოს სამთხვე, პეტერბურლი, 1882, გვ. 119—155).

2. ხელნაწერს აკლია 5v-სა და 6r-ს შორის (შდრ. იქვე, გვ. 122—123) და 6v-სა და 7r-ს შორის (შდრ. იქვე, გვ. 123—124).

3. აღწერილია ექ. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание, 11, გვ. 704).

(1268)

3049

ფსალმუნთ. XVII—XVIII

26 ფ.; 20×14,5; ქალღდი; ყდიანი, ახალი აკინძული: ნუსხური, ფსალმუნთა მუხლების დასაწყისები მთავრულით, სინგურით; ფრაგმენტი; [XVII—XVIII სს.]; კვირნიშანი: ვარსკვლავი, ნახევარმთვარე და გვირგვინი (ფფ. 8, 9).

[ფსალმუნთ]. — „...და საკვრავლბინი(!) მისნი ძეთა კაცთასა. აღ[ა]-შ[ა]ლლონ იგი კარებულსა შორის ერსა...“ 1r—26v.

წყდება: „...ნათესავი აქებდენ საქმეთა შენთა...“.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი იწყება 106 ფსალმუნის 31-ე მუხლით და გრძელდება 117 ფსალმუნის 15-ე მუხლამდე (8v), (შდრ. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მ ზ ე ქ ა ლ ა შ ა ნ ი ძ ე მ. I, ტექსტი, თბილისი, 1960, გვ. 302—325). 8v-სა და 9r-ს შორის

აკლია. 9რ-ზე იწყება 118 ფსალმუნის 22-ე მუხლი და გრძელდება 118 ფსალმუნის 150-ე მუხლამდე (14v), (შდრ. იქვე, გვ. 331—349). 14v-სა და 15რ-ს შორის აკლია. 15რ იწყება 120 ფსალმუნის მე-8 მუხლის ბოლოდან და გრძელდება. 131 ფსალმუნის მე-11 მუხლამდე (18v), (შდრ. იქვე, გვ. 355—368). 18v-სა და 19რ-ს შორის აკლია. 19რ იწყება 134 ფსალმუნის მე-5 მუხლიდან და გრძელდება 144 ფსალმუნის მე-5 მუხლამდე (26v), (შდრ. იქვე, გვ. 372—396).

2. ხელნაწერს ანმეტობა ახასიათებს.

3050

ლოცვანი, (ფრაგმენტი)

შეუერთდა A—1110 ხელნაწერს.

(1269)

3051

დანიელ წინასწარმეტყველი, ასოთ სამღერელი და წიგნი სასიზმრო. XVI

15 ფ.; 26×18,5; ქაღალდი, მოყავისფრო; უყდო; დამოლილი; ფურცლები დაზიანებული, დახეული; ნუსხური; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ფრაგმენტი; [XVI ს.].

1. [დანიელ წინასწარმეტყველი, ასოთ სამღერელი]. — „...თუ თხემი ემღერდეს, [ვ]ელმწიფებაჲ მიეცეს, რომელ ღირს იყოს, ანუ გზასა წვიდეს უცხოებასა...“ 1რ—3v.

2. „სახელითა ღმრთისათა წიგნი სასიზმროჲ(!), თქმული დანიელ წინასწარმეტყველისაჲ, რომელი თქუა სიზმრისათეს კაცისა ასოთა ზედა მოვენლილი(!). — რომელი თავისა თავსა უცემელად გააბუღულსა ხედვიდეს და მიჰგვნიდეს(!), იგი ცემულსა თავისა უხუცესა(!) განეშოროს...“ 4რ—15v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერის შედგენილობა:

ა. „გზაჲ განბჭობისაჲ და ჩინებაჲ დიდებისაჲ მეფეთა დ[ა] მთავართაჲ. (6v—7v).

ბ. „საქმენი გაძართებულნი აბჭრისა შენისაჲ, სამოსლსაჲ(!), საქ[ა]ულთაჲ და კაცისა საღმობათაჲ“ (7v—9r).

გ. „საქმე გაგებულ[ი] ჳორცისა ჳამისაჲ, სარგებელისაჲ და სავნებელისაჲ და ნახ[ვ]ია პირ[უ]ტყუთა“ (9r—v).

დ. „საქმე ვაგებული ორბთა, არწივთა, ყუავთა და...“ (10r—v).

ე. „...ქურციკთაჲ, პირუტყუთა და ცეცხლისაჲ“ (10v—11v).

ვ. „...ჭორთაჲ, აქლემთაჲ...“ (12r—v).

ზ. „...გაგებული ერბო-ყველსაჲ(!) და ძმრისაჲ, ხუარბლისა მ[ა]რ-გ[ა]ლატისაჲ(!), ხილთაჲ, უქუდურთაჲ და ყოველთაჲ...“ (12v). მომდევნო 13რ—v-ზე ახალი თავის ფრაგმენტი, ახსნილია რას ნიშნავს უფლის, ანგელოზისა და მოწამეთა ნახვა სიზმარში.

თ. „იღ კარი. მზისა, მთოვარისა, ვარსკულ[ა]ვთა და ღ[ა]რ[უ]ბელთაჲ და ნის-ლისაჲ“ (13v—14r).

ი. „ქილეთაჲ(!) წყალთაჲ, ზუღვათა...“ (14r—v).

2. ასოთ სამღერელი (1რ—3v) დაწერილია ორ სვეტად, სიზმრის ახსნა კი (4რ—15v) გაბმული ტექსტია.

3. სიზმრის ახსნას უძღვრება: „...უწყებაჲ არს სიცოცხლისაჲ და სიკუ-დილისა... და სიგლაზაქისაჲ და სიმკმუნერისაჲ, სიმდიდრისაჲ, ბრუემისაჲ

და გამარჯუებისა და ყოვლისა საქმისა აღმასრულებელი(!) არს, ვითაცა სიზ-
მარი ნახოს..." (4r).

4. მე-15 ფურცლის მხოლოდ ფრაგმენტა შემორჩენილი. იკითხება: „მკალი
ნახოს..." ეს ფურცელი უნდა იყოს ფრაგმენტი იმ თავიდან, რომელშიც ახსნი-
ლია, რას ნიშნავს მწერის ნახვა სიზმარში.

(1270)

3052

არსენ ბერი, ანდერძი დავით აღმაშენებლისა. XIX

2 ფ.; 35×22,2; ქაღალდი; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 2r—v.

[არსენ ბერი], „ანდერძი დავით აღმაშენებლისა, რომელიც წარმოუთხრა უამსა მიცვალებისა თვისისასა მოძღვარსა თვისსა არსენის და პირით მისით ყოველთა სამღვდელთა დიდებულთა თვისთა. — გიბრძანებს და მოგახსენებთ მეფეთა მეფე დავით დღეთა შინა სიკვდილისა და სოფლით გასვლისა მისისათა ჩემ მიერ უნდოსა და უღირსისა მლოცველისა მათისა ბერისა პირითა..." 1r—2v.

შენიშვნები: 1. ანდერძს უძღვის ცნობა: „ესე გადმოწერილ არს ძველისა წიგნისაგან, რომელიცა იპოვების გაენათის მონასტერსა შინა, ესრეთ იტყოდინ“ (1r).

2. გამოცემულია საბინინის მიერ (იხ. საქართველოს სამოთხე, 1882 წ., გვ. 512—513).

3053

ცხოვრება მეფის გიორგის მეცამეტისა.

გადატანილია პლ. იოსელიანის არქივში № 41—45.

(1271)

3054

სიტყვა ბოსუეტისა. XIX ს-ის I ნახ.

21 ფ.; 34,5×22; ქაღალდი, ცისფერი; ქაღალდის ყდა; მხედრული; [XIX ს. I ნახ.]; კვირნიშანი: 1802 წ.

„სიტყვა ბოსუეტისა. — ყოვლად მოწყალევე კელმწიფევე, თქუჲნდა აღუავლენ თქმულსა იესო ქრისტესსა..." 1r—17v.

შენიშვნები: 1. ზოგან კიდევ გატანილია ტექსტში ხმარებული სიტყვების სინონიმები: „მიხედულად — განმზერად“ (2r). „პატიყესა — ვნებასა“ (3r). ასევე: 6r, 7r, 10r, 14r, 16r-ზე.

2. 18r—21v უკავია რუსულ ტექსტს, რომელიც სასამართლო დავას ეხება.

3. ყდაზე გადამწერის ხელით ჩამოწერილია სიტყვები: „მშვიდობა, სულგრძელება, სახიერება“ და ა. შ.

4. ყდაზე ჩამოწერილია სომხური ასოები სათანადო რიცხვობრივი შესატყვისებით. სომხურად წერია: „დასაბამითგან 5422; .1813“. დაწერილია იმავე მელ-

ნით, რომლითაც ტექსტია გადაწერილი, ეს მინაწერი ვადაწერს უნდა ეკუთვნოდეს.

5. ამ ხელნაწერის შესახებ იხ. ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, XVI—XVIII სს., თბილისი, 1960, გვ. 201.

3055

ქაღალდები ათონის მონასტრის შესახებ.

გადატანილია პლ. იოსელიანის არქივში № 23—25.

3056

ცნობები და შენიშვნები საქართველოს ეკლესიებისა და მონასტრების შესახებ.

გადატანილია Sd ფონდში № 2343, ნაწილი კი პლ. იოსელიანის არქივში № 18.

3057

ქაღალდები მღვდელ ონისიმე იოსელიანის შესახებ.

გადატანილია Sd ფონდში № 2344—2350.

3058

სია მეფეთა და ეკლესიის გამგეთა ქართლისათა.

გადატანილია Sd ფონდში № 2351—2356.

3059

გუჯრები და გუჯრის პირები.

გადატანილია Sd ფონდში 2357—2367, ხოლო ნაწილი პლ. იოსელიანის არქივში № 19.

3060

წარწერანი ეკლესიებისა და სხვადასხვა ნივთებისა.

გადატანილია პლ. იოსელიანის არქივში № 33—35.

3061

ათონის ხელნაწერთა სია.

გადატანილია პლ. იოსელიანის არქივში № 2.

(1272)

3064

კრებული. XIX ს. I მეოთხედი

166 ფ.; 21X16,5; ქალაღი: ცისფერი და თეთრი; ქალაღის ყდა; მხედრული; სათაურები სინგურით; აკლია: ერთი ფურცელი 9v-სა და 10r-ს შორის, 163v-სა და 164r-ს შორის; დაუწერელია: 86v, 146v—159r; 7r-დან 96v-მდე გადაწერილია 1813 წ. (96r), დანარჩენი ნაწილი — [XIX ს-ის I მეოთხედში]: კვირნიშნები: ცისფერი ქალაღისა 1812 წ., 1809 წ.; თეთრი ქალაღისა 1816წ. შემკვეთი — სტეფანე მამულავი (96r), გადაწერი — მოსესა ბახტის ძე ყორღანოვი (96r).

1. „წიგნი ბარამ ფალავნისა, ურუმეთის კელმწიფის ძისა, ამოდსაკითხავი და სასიამოვნოდ სასმენელი. — ქვეყანასა ურუმეთისასა იყო კელმწიფე ქიშვარ, გაძრელებული, უკლებული, მორკმული, მოვლენილი და სიმდიდრისაგან გალალებული...“ 7v—95v.

შენიშვნები: 1. ტექსტი „ბარამიანის“ ვრცელი ვარიანტია (იხ. ექ. თაყაიშვილი. Описание, I, გვ. 557).

2. გამოცემულია ექ. თაყაიშვილის მიერ (იხ. ბარამიანი, ამბავი ბარამისა და გულადამისა, თფილისი, 1901 წ.).

ანდერძი (გადამწერისა): „კურთვეულ(!) იყოს, გინცა ამისთანა და ანუ თუ სხვა რიგი ამბავის წიგნები ნახოს და ის გარდაწეროს და იმაზე იკირნახულოს ამად, რომ ქვეყანაზე პირველი ამბავები არა ამოგარდეს და მათ ფალავნთა ამბავნი გაახლოს(!). შესაქვეყნადაც დიახ კარგია; და თუმცა მწიგნობარს ჩაუვარდეს ვისმე, თვით კითხვით შეექცევა და სხვათაც შეაქცევს. აგრეთვე ყმაწვილმან რომ კითხვით ამგვარი წიგნები გატეხოს, მრავალსა შეიმატებს და კაი მსწავლელიც შეიქნება, მრავალს ადგილს გამოიყენებს სამღვთოთ თუ საეროთ. კელმწიფეებთან თუ ამხანაკებთან, ჟამი მოხვდება; რომ მრავლის წიგნის კითხვა დიდათ გამოადგეს.“

აღიწერა ესე წიგნი ბარამიანი ჟამსა რუსეთის დიდებული კელმწიფის ალექსანდრ პავლოვიჩისასა. მას ეპყრა თავისი საბრძანებელი სრული რუსეთი და მას მსახურებდნენ: საქართველო. ქართლ[ი] სრული, ყაზახი, ბორჩალო. განჯა, შუში და ყარაბაღი და სხვათა მრავალი. შესრულდა წიგნი ესე ბარამიანი წერითა ჯელითა პატრონისა მისივე ყორღანოვი ბახტის ძის მოსესისასათა და ახლად პატრონისათა ბატონი სტეფან მამულავეისათვის. უფალმან მრავალ-ქამიერ ტყოს და მოახზაროს შექცევასა და სიხარულსა შინა და ჩვენდა საგონებლად. ამინ. დასრულდა ესე ბარამიანი თვესა მაისის ვასულსა ლ-სა წელსა ჩუიგ, ქორონიკონს ფა. 1813-го года, мѣсяцѣ (I) 30-го дня, аминь. რომელმანც ესე წიგნი პატრონისაგან ითხოვით და კითხვით შეექცეთ და ანუ ისე ჩავვარდესთ, აგრეთვე პატრონსავე უბოძეთ და რომელმანც მიცემა აღარა ინებოთ, თუ ქართველი იყოს, მასამცა რისხავს მამა, ძე და სული წმინდა. თუ სომეხი იყოს, მასამც გაუწყრეს წმინდა ლხვარი, და თუ თათარი იყოს, დმერთი გაუწყრეს. და რომელმანცა მიცემა ინებოთ და არა დაუმალთ, წესქელა ლოცვათ შეექცალოსთ, ამინ.

ესე წიგნი კდრე არის საკითხავი სპარსელთაგან, თარგმანული ქართველთავე მეფისა ვახტანგისაგან, ჩამივარდა, გარდაწერე, მეცა ვიშოვე სხვისაგან, და რომ მიამა, შევასრულე, თვარ ძალა მედგა ვისაგან.

ესე წიგნი ჩემგან ნახა, მყვანდა კარგი მეგობარი, ჩვენ გვიყვარდა ერთმანერთი, ძმაზე უკეთ შენაყვარი, გესურდა ერთად მუდამ ყოფნა. არაოდეს განაყარი და-მიიხრა: მეცა გარდაწერე, შენგნით მქონდეს გაუმყარი.

არ დამზარდა, დაუწერე ბატონ სტეფან მამულოვსა,
ჩვენ მივაჩნდით უკეთესად, სიყვარული ხქონდა გულსა,
რადგან მოხოვა, უარ ვერ ვყავ, აღვასრულე ნება გულსა,
და ოდეს ჰელთა აიღებდე, მახსენებდე ყო რ დ ა ნ ო ვ ს ა.

მე ცოდვილი ვიბოვ თქვენგან, რომელმანცა წაიკიხოთ
და ვისც გნებდეს სახსენებლათ, შენდობით არ დამივიწყოთ“ (95v—96v).

2. [მელის წიგნი, არაკი. ლომი ავათ გახდა]. — „ლომი ავათ
გახდა. მოდიოდნენ ყოველნი ნადირნი სანახავათა და მელამ დაიგვიანა...“ 97r.

შენიშვნა: შდრ. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის
ქრესტომათია, II, 1949, გვ. 309, არაკი 74. გამოცემული ტექსტი რედაქციულად
განსხვავდება ხელნაწერის ტექსტისაგან.

3. „მუნასიბი, თქმული მეფისა თეიმურაზისაგან, გან-
კობა ვარდისა და ბულბულისა. —

ჰე, არსისა შემოქმედო! შე[ნ]გან არის ყოვლი ფერი...“ 98r—108r.

შენიშვნები: 1. თეიმურაზ I თხზულებათა სრულ კრებულში (აღ. ბარა-
მიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფილისი, 1933) ეს ხელნაწერი გა-
მოყენებული არ არის.

2. ხელნაწერის ტექსტი რედაქციულად მიჰყვება H-59 ხელნაწერის „ვარდ-
ბულბულიანის“ ტექსტს. H-59 ხელნაწერიც მოსესა ყო რ დ ა ნ ო ვ ს ა გადა-
წერილია.

ანდერძი (გადამწერისა): „ესე ლექსი ერთგან ვნახე ბულბულსა და ვარდზედ
თქმული,

მეც მოსესამ გარდაწერე, რადგანც იყო პირველ თქმული, ამინ“.
(108r).

4. სხვადასხვა თემაზე ამოღებული ტაეპები „ვეფხისტ-
ტყაოსნიდან“ და „ფსალმუნიდან“:

1. ნიშანზედ მაყრული. —

იგი საძღვროდ მისად დასხნეს, ვისი შუქი ანათობდა.

2. ტახტის დადგმაზედ. —

მათ ქალ-ყმათათვის საჯდომი დაედგათ თეთრ-ძოწეული.

3. ტანთ ჩაცმაზედ: —

ადგა და კაბა ჩაიცვა, მჯობი ყოვლისა მთვარისა.

4. წასვლაზე. —

მთვარე მცხრალი, გავსებული მივა მზისა შესაყრელად.

5. მისვლაზედ. —

მივედით მისსა ქალაქსა ტურფასა, მაგრამ ცოტასა.

6. სახლიდამ ქალთან მისვლაზედ. —

მოდი, ნახე ვარდი შენი, უმკვნილი და დაუმკვნიარი.

7. ქალთან სახლში შესვლაზე. —

გამოჩნდა მთვარე ნათლითა გარე შუქმონავანითა.

8. საყდარში შესვლაზე. —

უხარის შეყრა ვარდისა: არ ერთგან შეუყრელისა.

9. საყდრიდამ გამოსვლისა. —

აჰა, მიხვდა შესაფერი ყმა ქალსა და ქალი ყმასა.

10. სუფრაზე სათქმელი. —

მეფეო, ღმერთმან შენ მოგცეს ბედი და ბედნიერობა.

11. კიდევ მაყრული სათქმელი. —

სულანათლითა აივსო სახლი, შუკა და უბანი.

12. ფსალმუნი. —

აკურთხე გვირგვინი ამის წელიწადისა სიტკბოებითა შენითა, უფალო.

13. კიდევ ფსალმუნი. —

დაადგა თავსა მისსა გვირგვინი ქვისა მისგან უფასონი...“ 108v.

5. [დავით გურამიშვილი]. „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და ბჭობა და ერთმანერთის ძვირის ხსენება. —

ჰი, ჰი ეს საწუთრო რას სტყუის და რას უპირობს...“ 109r—114v.

შენიშვნა: გამოცემულია (იხ. დავითიანი, 1955, გვ. 239—256).

6. [დავით გურამიშვილი], „ხარების დღის ქება და შეს-
ხმაყოფილად წმინდისა მარიამისა. —

ქალ-ქანწულმან მარიამ წმინდათ თავი ატარა...“ 114v.

შენიშვნა: გამოცემულია (იხ. დავითიანი, 1955, გვ. 185). ხელნაწერში „ხა-

რების“ მხოლოდ პირველი სტროფია, შემდეგ მოსდევს ორტაპიანი ლექსი:

„რამეთუ გცოდე, უფალო, ვითხოვ შემინდეო,

შენი ვარ მონა, წყალობა შენვე დამმართო“ (114v).

7. „კარი პირველი ლეილი-მიჯნურისა პირველად სპარ-
სულად ნათქვამი და მეორედ ახლად ნათქვამი ლექსად
პატრონის თეიმურაზისაგან. —

ღმერთო, რომელი თვით სიბრძნე ზარ სიბრძნის მომცემელობით...“

115r—146r.

შენიშვნა: თეიმურაზ I თხოულებათა სრულ კრებულში ეს ხელნაწერი გა-
მოყენებული არ არის. ხელნაწერის ტექსტი რედაქციულად მიჰყვება H—59.
ხელნაწერის „ლეილ-მაჯნუნიანის“ ტექსტს (შდრ. დასახ. გამოცემას, გვ. 24—59).

8. [თეიმურაზ I], „ანბავი უსუთ-ზილიხანისა ლექსად. —
მიჯნურთ ანბავი შემოკრება(!) წიგნსა ჩემგან თქმულებასა...“

159r—163v.

წყდება: „...დამეხოცენ, მარტო დავრჩი გლახ ლახვართა დასაძგერად...“

163v.

შენიშვნები: 1. თეიმურაზ I თხოულებათა სრულ კრებულში ეს ხელნაწერი
გამოყენებული არ არის. ხელნაწერის ტექსტს რედაქციულად აკლავს პოემის შე-
სავალი. 161v-ზე გამოჩენილია 45-ე სტროფი. ხელნაწერს რედაქციულად აკ-
ლავს: 162r-ზე — 51—55 სტროფები, 162v-ზე — 60-ე სტროფი, 163v-ზე —
66—162 სტროფები (შდრ. დასახ. გამოცემას, გვ. 60—98).

2. „იოსებ-ზილიხანიანის“ 187, 189 და 309 სტროფები ხელნაწერის 97v-ზეა.
ბოლო 105 სტროფი — 166r-ზე (შდრ. დასახ. გამოცემას, გვ. 83, 98, 73).

9. [მელის წიგნი, არაკი, ერთი კაც იყო, ანჩხლი ცოლი
ჰყვანდა]. — კაცი ერთი იყო და მას ანჩხლი ცოლი ჰყვანდა, მუდამ ქმარ-
სა ავად ეპყრობოდა...“ 164r—165r.

შენიშვნა: შდრ. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, გვ. 322, არაკი 122. გამოცემული ტექსტი რედაქციულად განსხვავდება ხელნაწერის ტექსტისაგან.

10. [მელის წიგნი, არაკი, ერთს სულელს აბაზი ჰქონდა, კირი უნდა ეყიდნა]. — „ერთ კაცს ერთი აბაზი ჰქონდა, უგონო და უმეცარი იყო...“ 165v—166r.

შენიშვნები: 1. შდრ. ს. ყუბანეიშვილი, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, გვ. 308, არაკი 70. გამოცემული ტექსტი რედაქციულად განსხვავდება ხელნაწერის ტექსტისაგან.

2. ეს ხელნაწერი აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს. იხ. Описание, ტ. I, გვ. 543—547.

მინაწერები: 1. (გადამწერისა):

„ესე წიგნი სტეფანასი, გვარად არის მამულოვი, იკითხვედეს შესაქცევად, ჰქონდეს მუდამ სიხარული. ღმერთმან მისცეს ჰენი ორნი, ერთი მნათობი ასული.

და ყრმანი ლომ-ვეფხვთა ნაკვეთად, ქალნი ქალურად ნახული“ (2r).

2. 2v—3r-ზე მიწერილია ცხრა სტროფიანი ლექსი:

„Песня — В час разлики настушок
Слезный взор склонил в поток“.

(1273)

3065

ტროპარნი და კონდაკნი. XIX

70 ფ.: 18×10,5; ქალაღი; მხედრული; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ნაჭ-
ლული; [XIX ს.]; კვირნიშანი: 1819.

[ტროპარნი და კონდაკნი]. 1. [ნოემბერსა იბ]. — „...ამისთვსა ყოველნი აღმასრულებელნი ჰხსენებისა შენისანი გადიდებთ მოწყალებისა თანა მოსახელთ...“ 1r.

2. „იგ. წმიდათა შორის მამისა ჩუჴნისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინუპოლელ მთავარეპისკოპოსისა, ხსნილი ღვინითა და ზეთითა...“ 1r.

3. „იდ. წმიდისა და ყოვლად ქებულისა ფილიპპე მოციქულისა ერთისა ათორმეტთავანისა. ხსნილი თევზითა...“ 1v.

4. „იე. წმიდათა მოწამეთა და აღმსარებელთა გურია. სამონა და აბიბოსი. აქა იწყების მარხუა შობისა...“ 2r.

5. „ივ. წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა მატთესი...“ 2v.

6. „[იზ]. ტროპარი მოწამისა [გრიგორისი]...“ 3r.

7. „იშ. წმიდათა მოწამეთა პლატონ და რომანოსისა...“ 3v.

8. „ით. წმიდისა წინასწარმეტყველისა აბდიასი და წმიდისა მოწამისა ვარლამისა...“ 3v.

9. „იკ. წინა დღე ტაძრად მიყუანებისა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა...“ 4r.

10. [ნოემბერსა 21, ღმრთისმშობლისა მარიამისი] 5r.

11. [ნოემბერსა 23. „წმიდისა მოციქულისა ფილიმონისი“. [ამასვე დღესა] „მამისა ჩუჴნისა ამფილოქეიკონელ მთავარეპის-

- კობოსისა, გრიგოლი აკრაკანტელ ეპისკოპოსისა...“ 5v.
12. [ნოემბერსა 25, „წმიდისა ქალწულ მოწამისა ეკატერინასი, მასვე დღესა წმიდისა მოწამისა მერკვირისი, ... მამათა ჩუენთა და მღუდელთ-მოწამეთა კლემენტოს რომთა პაპისა და პეტრე ალექსანდრიელისა...“ 6r.
13. [ნოემბერსა 26, „წმიდისა მამისა ჩუენისა ალვპ. მესვეტისა...“ 6r.
14. [ნოემბერსა 27, „წმიდისა დიდისა მოწამისა იაკობ სპარსისა...“ 6v.
15. [ნოემბერსა 28, „წმიდისა ღირსისა მამისა და მოწამისა სტეფანე ახლისა და წმიდისა მოწამისა ირინახოსი...“ 7r.
16. [ნოემბერსა 29, „წმიდისა მოწამისა პარამონისი და წმიდისა მოწამისა ფილიმონისა. მასვე დღესა ღირსისა აკაკისა, მასვე დღესა წმიდისა მღუდელ-მოწამისა აბიზოს, ნეკრესის ქალაქისა...“ 7v—8r.
17. [ნოემბერსა 30, მოციქულისა ანდრიაჲსი] 8r.
18. [დეკემბერსა 1, „წმიდისა წინასწარმეტყველისა ნაომისა...“ 8v.
19. [დეკემბერსა 2, „წმიდისა წინასწარმეტყველისა ამბაკომისა, მასვე დღესა წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ისე წილკანის ეპისკოპოსისა ათორმეტთაგანისა...“ 9r.
20. [დეკემბერსა 3, „წმიდისა წინასწარმეტყველისა სოფონიასი...“ 9v.
21. [დეკემბერსა 4, „წმიდისა მოწამისა ბარბარასი და ღირსისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკელისა...“ 9v—10v.
22. [დეკემბერსა 5, წმიდისა საბაჲსი] 10v.
23. [დეკემბერსა 7] „ამბროსი მედიოლანელ ეპისკოპოსისა...“ 11r.
24. [დეკემბერსა 8, „ღირსისა მამისა ჩუენისა პატაპისი...“ 11v.
25. [დეკემბერსა 9, წმიდისა ანაჲსი] 12r.
26. [დეკემბერსა 10, „წმიდათა მოწამეთა მინა, ერმოგენი და ევდრაფოსი...“ 12v.
27. [დეკემბერსა 11, „ღირსისა მამისა ჩუენისა დანიელ მესვეტისა...“ 13r.
28. [დეკემბერსა 12, „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა სფირიდონსაკვირველთმოქმედისა...“ 13r.
29. [დეკემბერსა 13] „წმიდისა მოწამისა ლუკია ქალწულისა...“ 13v.
30. [დეკემბერსა 14] „წმიდათა მოწამეთა თვირსო, ლევკი, ფილიმონ, აპოლონ, არიანე და კალინიკესი...“ 14v.
31. [დეკემბერსა 15, „წმიდისა მღუდელმოწამისა ელევთერისა და ღირსისა მამისა ჩუენისა პავლე ლატრელისა...“ 15r.
32. [დეკემბერსა 16, „წმიდისა წინასწარმეტყველისა ანგეასი...“ 15v.
33. [დეკემბერსა 17, „წმიდისა წინასწარმეტყველისა დანიილისა და წმიდათა სამთა ყრმათა ანანიასა, აზაზიასა და მისაილისი...“ 15v.
34. [დეკემბერსა 18] „წმიდისა მოწამისა სავასტიანესი და მისთანათა... წმიდისა მოწამისა ვონიფანტესი...“ 16v.

35. [დეკემბერსა 20] „წმიდისა მღუდელმოწამისა ეგნატი ღმერთ-
შემოსილისა...“ 17r.
36. [დეკემბერსა 21, „წმიდისა მოწამისა იულიანე მოწკომიდე-
ლისა(!)...“ 17v.
37. [დეკემბერსა 22, „წმიდისა დიდისა მოწამისა ანასტასია მწამლე-
ლობათა დამხსნელისა...“ 17v.
38. [დეკემბერსა 23, „წმიდათა ათთა მოწამეთა კრიტელთა...“ 18r.
39. [დეკემბერსა 24, „წმიდისა მოწამისა ევგენიასი...“ 18r.
40. [დეკემბერსა 25, შობაჲ იესუ ქრისტესი] 18v.
41. [დეკემბერსა 26, წმიდისა ღმერთისმშობლისაჲ მასვე დღესა] „წმიდისა მღუდელმოწამისა ევთიმი, სარდის ეპისკოპოსისა...“
19v.
42. [დეკემბერსა 27, სტეფანესი, მასვე დღესა] „ბევრთა მოწამეთა,
ნიკომიდიას დამწვართა...“ 21r.
43. [დეკემბერსა 29, „წმიდათა ჩვილთა ათთოთხმეტიათასთა ქრისტეს-
თვის მოწყვედილთა იროდის მიერ ბეთლემს ურიპასტანის. და
ღირსისა მამისა ჩუჭნისა მარკელე დაუძინებელთა მონასტრის ძინამძღ-
ვრისა(!)...“ 21r.
44. [დეკემბერსა 30, „წმიდისა მოწამისა ანუსიასი...“ 21r.
45. [დეკემბერსა 31] „ღირსისა ზოტიკე ხუცისა, [მასვე დღესა] ღირ-
სისა მელანია რომაელისა...“ 21v.
46. [იანვარსა 1] „წმიდათა შორის მამისა ჩუჭნისა დიდისა ვასილი-
სი, კესარიელ კაბადუკიელ მთავარეპისკოპოსისა“, [მასვე დღესა
იესუ ქრისტესი] 22r.
47. [იანვარსა 2] „წმიდათა შორის მამისა ჩუჭნისა სილიბისტრო
რომთა პაპისა...“ 22v.
48. [იანვარსა 3] „წმიდისა წინაწარმეტყუელისა მალაქიასი, მასვე
დღესა წმიდისა მოწამისა გორდისა...“ 23r.
49. [იანვარსა 4] „წმიდათა მოწამეთა თეოპემპტო და თეონასი,
მასვე დღესა ღირსისა დედისა სვინკლიკიტასი...“ 23v.
50. [იანვარსა 8] „ღირსისა მამისა ჩუჭნისა გიორგი ხოზიბელისა,
მასვე დღესა ღირსისა დედისა ჩუჭნისა დომნიკასი, მასვე დღესა წმიდისა
დიდისა მოწამისა აბოსი...“ 25r.
51. [იანვარსა 10] „წმიდისა მოწამისა პოლიევკტოსი, [წმიდათა შო-
რის მამისა ჩუჭნისა გრიგოლინოსელ ეპისკოპოსისა, მასვე დღესა
ღირსისა დომენტიანე მელიტინელ ეპისკოპოსისა, მასვე დღე-
სა ღირსისა მამისა ჩუჭნისა მარკიანე ხუცისა...“ 25v.
52. [იანვარსა 12] „წმიდისა მოწამისა ტატიანასი...“ 25v.
53. [იანვარსა 13] „წმიდათა მოწამეთა ერმილე და სტროეტონი-
კესი...“ 25v.
54. [იანვარსა 14] „ღირსთა მამათა ჩუჭნთა სინას და რაითას მოწყვე-
დილთა“, [მასვე დღესა წმიდისა მოციქულისა ნინოჲსი] 26v.
55. [იანვარსა 15] „ღირსისა მამისა ჩუჭნისა პავლე თებელისა და
იოანე გლახაკისა...“ 26v.
56. [იანვარსა 16] „ყოვლად ქებულისა მოციქულისა პეტრესი...“ 26v.
57. [იანვარსა 17, მამისა ანტონისი] 28r.

58. [იანვარსა 18] „მამათა ჩუენთა ათანასი დაკირილე ალექსანდრისა მთავარეპისკოპოსთა...“ 28r.
59. [იანვარსა 19] „ღირსისა მამისა ჩუენისა მაკარი მეგვიპტელიისა...“ 28v.
60. [იანვარსა 20. „მამისა ჩუენისა] ევთიმისი...“ 29r.
61. [იანვარსა 21] „ღირსისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებელისა და წმიდისა მოწამისა ნეოფიტესი. მასვე დღესა წმიდათა მოწამეთა ევგენი, კანდიდოს. თვალერიანე და აკვილასი...“ 30r.
62. [იანვარსა 22] „წმიდისა მოციქულისა ტიმოთესი და ღირსისა მოწამისა ანასტასი სპარსისა...“ 30r.
63. [იანვარსა 23] „მლუდელოწამისა კლიმიანკირიელიისა და წმიდისა მოწამისა ალათანგელოსისა...“ 30v.
64. [იანვარსა 24] „ღირსისა დედისა ჩუენისა ქსენისი...“ 31r.
65. [იანვარსა 25. გრიგოლ დვთისმეტყველისაჲ] 31v.
66. [იანვარსა 26] „ღირსისა მამისა ჩუენისა ქსენეფორესი, მასვე დღესა ჰსენება წმიდისა კთილმსახურისა მეფისა დავით მესამისა...“ 32r.
67. [იანვარსა 27, იოანე ოქროპირისი] 32r.
68. [იანვარსა 28] „ღირსისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისა...“ 32v.
69. [იანვარსა 29] „წმიდისა მლუდელოწამისა ეგნატი ღმერთშემოსილისა...“ 32v.
70. [იანვარსა 30] „მლუდელოწამისა იპოლიტე რომთა პაპისა...“ 33r.
71. [იანვარსა 31] „საკვირველოქმედთა უვერცხლოთა კვიროს და იოანესი...“ 33v.
72. [თებერვალსა 1] „წმიდისა მოწამისა ტრიფონისა...“ 34v.
73. [თებერვალსა 3] „წმიდისა და მართლისა სვიმეონ დვთისმიმქმელისა და ანნა წინასწარმეტყველისა...“ 35v.
74. [თებერვალსა 4] „ღირსისა მამისა ჩუენისა ისიდორე პიუსტიელიისა...“ 35v.
75. [თებერვალსა 5] „წმიდისა მოწამისა ალათიასი...“ 36r.
76. [თებერვალსა 6] „ღირსისა მამისა ჩუენისა ვუკოლე ზმირინელ ეპისკოპოსისა...“ 36r.
77. [თებერვალსა 7] „ღირსისა მამისა ჩუენისა პართენი ლამფსაველ ეპისკოპოსისა და ღირსისა ლუკა ელადელისა. [მასვე დღესა] დიდისა მოწამისა თეოდორე სტრატოლატიისა...“ 36r.
78. [თებერვალსა 9. „წმიდისა მოწამისა ნიკიფორესი...“ 36v.
79. [თებერვალსა 10. „წმიდისა მოწამის ხარალამპისი...“ 36v.
80. [თებერვალსა 11, „წმიდისა მლუდელოწამისა ვლასისი...“ 37r.
81. [თებერვალსა 13. „ღირსისა მამისა ჩუენისა მარტიანესი...“ 37v.
82. [თებერვალსა 14] „ღირსისა მამისა ჩუენისა ავქსენტიისი...“ 38r.
83. [თებერვალსა 15] „მოციქულისა ონისიმესი...“ 38v.
84. [თებერვალსა 16] „მოწამისა პამფილესი და მისთანათა...“ 38v.
85. [თებერვალსა 17] „წმიდისა მოწამისა თეოდორე ტირონისა. [მასვე დღესა] მამისა ჩუენისა ლეონ რომთა პაპისა...“ 39v.

86. [თებერვალსა 20] მოციქულისა არქიპოსისი. [მასვე დღესა] მამისა ჩუჴნისა ლეონტი კატანელ ეპისკოპოსისა...“ 40r.
87. [თებერვალსა 21] ღირსისა მამისა ჩუჴნისა და საკვირველთმოქმედისა ტიმოთესი, მასვე დღესა წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ევსტათიანტიოქელისა...“ 40r.
88. [თებერვალსა 23] „პოლიკარპე ზმირინელ ეპისკოპოსისა...“ 41v.
89. [თებერვალსა 24, პონაჲ თავისაჲ წმიდისა იოანე ნათლისმცემელისაჲ] 41v.
90. [თებერვალსა 25] მამისა ჩუენისა ტარასი კოსტანტინუპოლის მთავარეპისკოპოსისა 42r.
91. [თებერვალსა 26] მამისა ჩუენისა პორფირი დაზელ მთავარეპისკოპოსისა, [მასვე დღესა] ღირსისა მამისა ჩუჴნისა პროკოპი აღმსარებელისა...“ 43r.
92. [თებერვალსა 27] ღირსისა მამისა ჩუჴნისა და აღმსარებელისა ვასილისი, [მასვე დღესა] ღირსისა მამისა ჩუჴნისა კასიანე რომისა...“ 43v.
93. [მარტსა 1] „ღირსისა მოწამისა ევდუკიასი...“ 43v.
94. [მარტსა 2] „თეოდოტი კვირინელ ეპისკოპოსისა...“ 44r.
95. [მარტსა 3] „მოწამეთა ევტროპი, კლეონიკე და ვასილის კოსი [მასვე დღესა] ღირსისა მამისა ჩუენისა გერასიმე იორდანის პირველისა...“ 44v.
96. [მარტსა 6] წმიდისა მოწამისა კონონისა, [მასვე დღესა] ორმოცდაორთა მოწამეთა, [მასვე დღესა] მოწამეთა ქერსოფნეთის ეპისკოპოსთა ვასილი, ეფრემ, კაპიტონ, ევგენი, ეთერი და მათ თანათა...“ 44v—45r.
97. [მარტსა 8] „ღირსისა მამისა ჩუენისა თეოფილაქტე ნიკოდიმელისა ეპისკოპოსისა...“ 45r.
98. [მარტსა 9, წმიდათა ორმოცთაჲ] 45v.
99. [მარტსა 10, „წმიდისა მოწამისა კოდრატესი და მისთანათა, [მასვე დღესა] მამისა ჩუენისა სოფრონიერუსალიმელ პატრიარხისა...“ 45v.
100. [მარტსა 12] „ღირსისა მამისა ჩუენისა თეოფანე სიღრიანელისა...“ 45v.
101. [მარტსა 13] „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ნიკიფორე კოსტანტინუპოლელ პატრიარქისა...“ 46r.
102. [მარტსა 14] „ღირსისა მამისა ჩუენისა ვენედიკტესი...“ 46r.
103. [მარტსა 15] „წმიდისა მოწამისა ალაპისი და მის თანა ექუსთა მოწამეთა...“ 46r.
104. [მარტსა 16] „წმიდათა მოწამეთა საბიანე და პაპასი...“ 46r.
105. [მარტსა 17] „ღირსისა მამისა ჩუჴნისა ალექსი კაცისა ღმრთისა...“ 46r.
106. [მარტსა 18] „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა კირილე იერუსალიმელ პატრიარქისა...“ 46v.
107. [მარტსა 19] „წმიდათა მოწამეთა ხერისანთესი და დარიასი...“ 46v.

108. [მარტა 20] „ღირსთა მამათა ჩვენთა, რომელნი მოისრნეს შავთა მიერ ლავრასა შინა წმიდისა საბასისა...“ 47r.
109. [მარტა 21] „ღირსისა მამისა ჩუჴნისა და აღმსარებელისა იაკობ ეპისკოპოსისა...“ 47r.
110. [მარტა 22] „მლუდელ-მოწამისა ვასილისი...“ 47r.
111. [მარტა 23] „მლუდელ-მოწამისა ნიკონისი და ორასთა მოწაფეთა მისთა, მის თანავე წაშებულთა მისთა...“ 47r.
112. [მარტა 24, „წინა დღესასწაული ხარებისა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისა, [მასვე დღესა] ღირსისა მამისა ჩუენისა ზაქარიასი და წმიდათა შორის მამისა ჩუენისა არტემისი...“ 47r.
113. [მარტა 26, წმიდისა მოწამისა გაბრიელისი] 47v.
114. [მაისსა 23, წმიდისა მოწამისა მიხაილისი] 49r.
115. [მაისსა 24] „ღირსისა მამისა ჩუჴნისა სიმეონისი...“ 49v.
116. [მაისსა 26] „წმიდისა მოციქულისა კარპესი, ერთისა სამეოცდაათთაგანისა. [მასვე დღესა] მლუდელ-მოწამისა თერაპონისა...“ 50r.
117. [მაისსა 28] „ღირსისა მამისა ჩვენისა ნიკიტა ხალკიდონელ ეპისკოპოსისა...“ 50r.
118. [მაისსა 29] „ქალწულ მოწამისა თეოდოსიასი...“ 50v.
119. [მაისსა 30] „ღირსისა მამისა ჩუჴნისა ისაკისი...“ 51r.
120. [მაისსა 31] „წმიდისა მოციქულისა ერმისი...“ 51v.
121. [ივნისსა 1] „მოწამისა იუსტინესი...“ 52r.
122. [ივნისსა 2] „მამისა ჩუენისა ნიკიფორე კოსტანტინუპოლელ პატრიარქისა...“ 52r.
123. [ივნისსა 3] „წმიდისა მოწამისა ლუკიანესი და სხუათა მისთანათა...“ 52v.
124. [ივნისსა 4] „მამისა ჩვენისა მიტროფანე კოსტანტინუპოლელ პატრიარქისა...“ 52v.
125. [ივნისსა 5] „მლუდელმოწამისა დოროთე ტვრისელ ეპისკოპოსისა...“ 53r.
126. [ივნისსა 6] „ღირსისა მამისა ჩუჴნისა ბესარიონ საკვირველთმოქმედისა. მასვე დღესა ღირსისა მამისა ჩუენისა ილარიონ ახლისა...“ 53v.
127. [ივნისსა 7] „მლუდელმოწამისა. თეოდოტი ანკვირელ ეპისკოპოსისა...“ 54r.
128. [ივნისსა 8] „დიდისა მოწამისა თეოდორე სტრატილატიისა...“ 54r.
129. [ივნისსა 9] „მამისა ჩუჴნისა კირილე ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსისა...“ 54v.
130. [ივნისსა 10] „ტიმოთე პრუსელ ეპისკოპოსისა...“ 55r.
131. [ივნისსა 12] „ღირსისა მამისა ჩუჴნისა ონოფრისა, მასვე დღესა ღირსისა მამისა ჩუჴნისა პეტრე ათონელისა...“ 55r.
132. [ივნისსა 13] „წმიდისა ქალწულ მოწამისა აკვილინასი. [მასვე დღესა] წმიდისა ტრიფილესი, ლევკუსიის ეპისკოპოსისა კიპრელისა...“ 55v.

133. [იენისა 14] „წმიდისა წინასწარმეტყუელისა ელისესი და წმიდათა შორის მამისა ჩვენისა მე თო დი კოსტანტინუპოლელ პატრიარქისა...“ 56r.

134. [იენისა 15] „წმიდისა წინასწარმეტყუელისა ამოსისი...“ 56v.

135. [იენისა 16] „საკვირველთ-მოქმედისა ტვზონ ამათუნტელ ეპისკოპოსისა...“ 56v.

136. [იენისა 17] „წმიდათა მოწამეთა მანუილ, საბაილ და ისმაილისი...“ 57r.

137. [იენისა 18] „წმიდისა მოწამისა ლეონტისი...“ 57v.

წყდება: „...ამისთვის ხსენებასა შენსა სიყვარულით პატივს ვპსცემთ ჩუენ ყოვლად ბრძენო ლეონტი...“ 57v.

შენიშვნები: 1. ხელნაწერი იწყება ვ რვეულით და წყდება იე რვეულს ჩათვლით. იბ და იგ რვეულები, აგრეთვე იე რვეულის 1 და მე-8 ფურცლები აკლია.

2. ხელნაწერში იენისის თვის მასალა მეორდება 58r-დან 70v-მდე.

3. 4v-დან 60r-მდე სათაურებისა და საზედაო ასოებისათვის გაშვებულია ადგილი სინგურით ჩასაწერად. თვის დღეები და სათაურები აღვადგინეთ გიორგი ათონელის სვინაქსარის მიხედვით (H—1661).

მინაწერები: 1. „დათოქო ერთი იმ ორ წიგნთაგანი ეს არის მღ. ვ. კარბელაშვილი. 1898 წ.ოქტ. 10 დღ. შაბათსა“ (62v).

2. მინაწერებია აგრეთვე 24v და 57r.

(1274)

3066

სამართლის წიგნები. 1809

321 ფ.; 36X21,5; ცისფერი ქაღალდი; კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა; ბოლონაკლული; მხედრული; სათაურები და მუხლების დასაწყისი სინგურით; 1809 წ. 1X.4; გადამწერონიკოლოზ ბალინოვი (20r); დაუწერელია: 52v, 53r—v, 54r—v, 55r—v, 129v, 235r—v, 236r—v, 271v, 272r—v; შეუესებელია გრაფები 40v და 52r-ზე; ქვირნიშანი: 1807.

[სამართლის წიგნთა კრებული]. 1. [სამართალი მოსესი]: „კარი პირველი. დასაწყისი წმინდისა სამართლისა, რომელი მოსცა ღმრთისს, რომელი დასწერა მან მოსე; წიგნსა მეორე სჯულისსა და გამოსვლათსა. მცნება ღმრთისამან, სამართალი მოსესი ა. — მცნება ღმრთისამან, თუ-უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, ვითარცა გამცნო შენ უფალმან ღმრთისს შენმან...“ 57v—67v.

2. [ბერძნული სამართალი]. „ლევან ბრძნისა და კონსტანტინესი და სხვათა კელმწიფეთა მიერ თქმული და განწესება სჯულის კანონი რაოდენიცა ეწეროს წიგნსა ამას შინა. მცირედიცა არ განვაგდო, არამედ ყოველივე ვისმინოთ და ვიყოღცა(!). ა. რომ მოხდეს და დადგეს კაცი ვინმე მსაჯულად სასამართლოდ კაცსა ზედა, უკეთუ ენებოს კაცსა მას მსაჯულად სახელის წოდება ამა წესითა და რიგითა...“ 68r—129r.

3. [სომხური სამართალი]. „ესე წიგნი არს დიდის სომხეთისა სამართლის წიგნთა ზედა გადმოთარგმანებული და ეწოდების სახელი სამართ-

ლისა. თუ იკითხავთ და შეტყობა გინდათ თუ რომლის წიგნისაგან შეგვიკრებია, მოგახსენებთ...“ 130r—234v.

4. [კათალიკოსის სამართალი]. „ქ. სახელითა ღმრთისათა მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოველისა საქართველოსა ქათალიკოზმან პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზისამან მამათ მთავარმან ევდემონ დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ებისკოპოზნი...“ 237r—240r.

5. [ძეგლის დება მეფეთ-მეფე გიორგის მიერ]. „თავი პირველი. ა. ქ. ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ. — ჩვენ, მეფეთ-მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ-მეფის დიმიტრისამან, დავდევით ძეგლი განაჩენი ესე მას ქამს, ოდეს შევედით მთულთა(!) შიგან...“ 241r—249r.

6. [სამართალი აღბუღასი]. „პირველი. ქ. შევიყარენით ქოლთა მინდობილნი ღმრთისანი და აწყურისა ღმრთის მშობლისანი(ი) და გაქცევისა დავიდევით წინა პატრონისა პაპის ჩემისა მანდატურთუხუცესის ბექას განაჩენი და იგი აგრეთვე სრულობით და უკლებლად დავსწერეთ...“ 250r—271r.

7. [სამართალი ვახტანგ ბატონიშვილისა]. „შესავალი პირველი ბატონისშვილის ვახტანგისა. მყოფისა უმყოფისა არსისა და უარსისა და მარსისა მქებნი. არა თუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მქონებელი უღებად მქონე მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი-დღე მრევლნი, კელთა მარგალიტთა შინა და პოებენ მძივთა რათმე...“ 273r—321v.

წყდება: 1955 წლის გამოცემის მიხედვით 263-ე მუხლზე: „თუ მოვალის გარდაწყვეტის წიგნი არა ჰქონდეს და შემოსთვალოს, იქნება წიგნის აღება ვერ მოისწროს და თამასუქის პატრონმა კი აიღოს, იმას წიგნი უნდა...“ 321v.

შენიშვნები: 1. სამართლის წიგნთა კრებულის შესახებ იხ. S—2807-ის შენიშვნა 3.

2. წინ უძღვის: ა. ყველა წიგნის მუხლების საძიებელი, გაწყობილი ანბანთ რიგზე (1r—20r).

ბ. ყველა წიგნის კანონების „სიმფონია“, გრაფებში წარმოდგენილი (21r—51v).

გ. სამართლის წიგნთა კრებულის საერთო შესავალი: „დასაბამითგან დამბადებულმან საფურძველთა(!) ქვეყანისათამან და მქსეულმან ცათამან უფსრულთა(!) გამოძლეულმან და სივრცეთა სოფლისათა გარე შემცველმან ყოველთა არსთა და არაარსთა...“ (56r—57v).

3. წიგნი აკინძულია არასწორად: 44 ფურცლის შემდეგ უნდა მოდიოდეს 46-ე, შემდეგ კი — 45-ე ფურცელი.

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (იხ. Описание рукописей, ტ. II, გვ. 616).

ანდერძი: დასრულდა ამბანით სარჩევი სამართლისა ღვაწლდადებული მოქალაქის მოსესის ძის კოლესკის (!) რედისტრატორის ნიკოლოზ ბაღინაძის. სექტემბრის დ. 4, ჩეთ, 1809 წელსა“ (20r).

(1275)

3073

მხითარ სევასტიელი, რიტორიკა. XVIII

173 ფ; 15,5×10,5; ქალაღი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული; თავფურცელი ასომთავრული ზუტურით; სათურები თხზული ასომთავრულით, ზოგჯერ სინგურით; 68-ე ფურცელი დაზიანებული; აკლია 1 ფურცელი 15 და 16 ფურცლებს შორის; დაწერელია: 7v—8v, 170v; უთარიღო; [XVIII ს. მიწურული]; კვირნიშანი 1788 (170 ფ).

[მხითარ სევასტიელი, რიტორიკა]. „თვს კელოვნებისათვის სარიტოროხსა ესე იგი სამკვერმეთქოხსა. წიგნი ა. თვს სამზღურისა სამკვერმეთქოხსა და წუალეზისა ნაწილთა მისთასა. თავი პირველი. — მკვერმეთქუცობა, რომელიცა ითქმის რიტორებად, არს კელოვნება საკეთილმეთქვო, ითქმის კელოვნებად, რომლითა ეზიარების სხუათა ყოველთა კელოვნებათა...“ 9r—170r.

შენიშვნები: I. წინ უძღვის: ა. მხითარ ყოვლად ბრძნისა მოძღურისა სომეხთასა სევასტიელისა ქმნილი წიგნი რიტორიკა სარგებელად ყრმათა სხოლის შინათა ქართულსა ქმასა ზედა გარდამოღებით შრომილი ანტონის მიერ არხიეპისკოპ(პო)სისა ყოვლისა საქართუშლოხსა დავითიან—ბაგრატიანისა დროსა უკეთილმსახურესისა ყოვლად უბრწყინუალესისა და უმაღლესისა მეფისა ირაკლი მეორისა ყოვლისა საქართუშლოხსასა მამათმთავრობასა ანტონისსა, წელსა დასაბამითგან სოფლისა 7272, კორციელად შობითგან სიტყვსა ღმრთისა 1764 თთუშსა მეშუდესა, რიცხუსა 10“ (1r—v).

ბ. „წინასიტყუაობა ეპისტოლე, მიწერილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა საქართუშლოხსა დავითიან—ბაგრატიანისა ირაკლის მიმართ მეორისა, მისა თვისისა, მეფისა ყოვლისა საქართუშლოხსა. დავითიან—ბაგრატიანისა ირაკლის დავითიან—ბაგრატიანისა ყოვლად ბრწყინუალისა მეფისა ყოვლისა საქართუშლოხსასა მის მეფობის სიმაღლეს, ჩემს ყოვლად სატრფოს ქმას...“ 1v—7r („ეპისტოლეს“ ტექსტი გამოკვეყნებულია: იხ. II კოლექციის ზელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, № 256).

2. „რიტორიკის“ ტექსტს დართული აქვს „პინაქს-სიტყუაობა სარიტოროხსა კელოცენებისა (ესე იგი სამკვერმეთქოხსა)“ (171r—173v).

3. „რიტორიკა“ წარმოდგენილია 5 „ნაწილად“.

4. ტექსტი შევადარეთ H—256 ნომრის ქვეშ დაცულ „რიტორიკას“. სავსებით მიყვება მას.

მინაწერი: ზედა ყდის შიდა მხარეს მიკრულია ნაწერი ფურცელი XVIII ს. ხელით: ბოლო საცავ ფურცელზე მინაწერია: „ეს ნაწერი დეკანოზის ასულის ნინოსისა. ვინც წაიკითხოს, შენდობა უბრძანეთ“.

(1276)

3074

ანტონ I, კატეხიზმო. XVIII

86 ფ; 16×11; ქალაღი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; თავბოლონაკლული; სათურები და კითხვა-მიგვების დასაწყისები — სინგურით; უთარიღო [XVIII ს.].

[კატეხიზმო] „...განწორება მწიკტლისა, არამედ გონებისა კეთილისა ტრფიალება ღმრთისა მიერ აღდგომითა იესუ ქრისტესითა, რომელი არს მარჯუწნით ღმრთისა, რომელი ამაღლდა ზეცად (1.21.22) 1r—75v.

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაკლულია, იწყება ძველი პაგინაციის მე-17 გვერდიდან.

2. ბოლოს ერთვის: „პინაქს-სიტყუაობა ჩუშნ მიერ ქმნილისა წიგნისა კატეხიზმოსისა, რომლისა შორის სიმვოლონი აღიწსნების 123 კითხუა-მიგებათა შინა ქართულსა აღძვეიტასა ზედა“ (76r—86v).

3. პინაქს აკლია 1 ფურცელი; წყდება: „...ჯ. ჭოჯოხეთად შთასრქამან სიტყუსამან მხოლოდ...“ (86v).

4. ტექსტი შევადარეთ Q—571 ნომრის ქვეშ დაცულ „კატეხიზმოს“ ტექსტს, საესებით მისდევს მას.

მინაწერი: 64v-ზე: „შენის შვილის ნინოს კეთილად სახსენებლო მამავ ბატონო, თუ ჩვენს ანბავს იკითხავ, ამთარი(!)...“ უმნიშვნელო მინაწერებია 19v, 67v—68r, 81r-ზე.

(1277)

3075

თეატრო პოლიტიკა. 1822

56 ფ.; 36,5×22,5; ცისფერი ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ბოლონაკლული; სათაურები და დასაწყისი ასოები მთავრული სინგურით; 1822 წ. 22. X; კვირნიშანი: 1820 (43 ფ.).

